ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 14 თებერვალი, №1 (6546)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 50 თეთრი

მობილური ამცრელი ჯგუფები ახალსოფელში და შილდაში

2020 წლის 26 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე COVID-19 ინფიცირების 10997 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან, 1833 პირი სრულად ვაქცინირებული იყო – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის 2020-21 წლის ანგარიშშია აღნიშნული.

ამავე ანგარიშის თანახმად, ინფიცირების შედეგად სრულად ვაქცინირებული 1633 პირიდან კორონავირუსით 4 ადამიანი გარდაიცვალა, რომელთა ასაკი 50 წელს გადაცილებული იყო.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ვაქცინირებული ადამიანების 99 პროცენტი დაზღვეულია და მათთვის სიკვდილის საშიშროება არ არსებობს.

ამიტომაა, რომ საქართველოს მთავრობა ადამიანებს მოუწოდებს ვაქცინაციის ჩატარებაზე, რათა მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნას. მთავრობის გადაწყვეტილებით 50 წელს გადაცილებული ადამიანები 200 ლარიან ერთჯერად დანამატს პირველი აცრის შემდეგ მიიღებენ, ხოლო ბუსტერ დოზის გაკეთების შემდეგ 100 ლარს.

ამასთან ხანდაზმულების საცხოვრებელ ადგილებზე მომსახურების მიზნით შეიქმნა მობილური ჯგუფები.

იანვრის თვეში ასეთი მობილური ჯგუფი ეწვია ყვარლის მუნიციპალიტეტსაც და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახალსოფელსა და შილდაში მობილური ამცრელი ჯგუფების მიერ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა.

დაიცავი თავი COVID-19-ის სერიოზული გართულებებისგან – აიცერი, აცრა უსაფრთხოა! ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის, ვაქცინაცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რათა ისინი დაცული იყვნენ ინფიცირებით გამოწვეული გართულებებისგან.

მოსახლეობის COVID-19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესს ადგილზე გაეცნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი, მერის პირველი მოადგილე, ზურაბ ნემსაძე და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კახეთის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელი, ნელი ხიზანიშვილი.

ბერტა ფონ ზუტნერის საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა გაიხსნა

28 იანვარს ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, ყვარლის ევროკლუბის, საქართველოში ავსტრიის საელჩოსა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ორგანიზებით გაიხსნა ცნობილი ავსტრიელი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის, მწერლის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი, ბერტა ფონ ზუტნერის გამოფენა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

გამოფენის ძირითადი მიზანია ბერტა ფონ ზუტნერის მოღვაწეობისა და საქართველოში მისი ცხოვრების პერიოდის გახსენება და ქართულ-ავსტრიული მეგობრული ურთიერთობების ხაზგასმა.

გამოფენა მუზეუმში თებერვლის ბოლომდე დარჩება და მსურველებს შეესაძლებლობა ექნებათ ნახვის.

ბერტა ფონ ზუტნერი დაიბადა 1843 წლის 9 ივნისს პრაღაში. მისი ქალიშვილობის გვარია გრაფინია ფონ კინსკი ვშინიცისა და ტეტაუს მიწებისა, დაიბადა ბიომენის მხარის დიდგვაროვან ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ იგი გრაფინიად დაიბადა, მაინც არასდროს მიეკუთვნებოდა „უმაღლეს საზოგადოებას“: მამამისი ფრანც მიხაელ გრაფ კინსკი მის დაბადებამდე, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო დედა, სოფი ვილჰელმინა, რომელიც არადიდგვაროვანი წარმოშობის იყო, ფრანც მიხაელის გარდაცვალების შემდეგ ქმრის ოჯახისგან ჩამოშორებული იქნა. დედასთან ერთად ის ტრიალებს არისტოკრატულ წრეში. დედის აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას ეწირება ბერტას მზითევი. ახალგაზრდა ბერტა რამდენჯერმე დაინიშნა: მისი საქმრო, თავადი მომღერალი ადოლფ ვიტგენშტაინი, რომელიც დებიუტით უნდა გამოსულიყო ნიუ-იორკის საოპერო თეატრში, ამერიკისკენ მიმავალ გემზე მოულოდნელად გარდაიცვალა. ბერტამ საბოლოოდ მორიგ ხელის მთხოვნელზე, 34 წლით უფროს მილიონერ გუსტავ ფონ ჰაინე-გელდერნზე გათხოვებას გუვერნანტად მუშაობა არჩია. 1873 წლიდან იწყებს მუშაობას კარლ ფონ ზუტნერის ოჯახში ვენაში. ასწავლის რა მის ოთხ ქალიშვილს უცხო ენებსა და მუსიკას, თავის შრომით გამოიმუშავებს საკუთარ ფულს. მას და ზუტნერების ვაჟს, ბერტაზე შვიდი წლით უმცროს არტურ ფონ ზუტნერს ერთმანეთი უყვარდებათ.

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე

სოფლის მეურნეობაში წარმოებული ყველა სახეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 118 მილიონი ლარი შეადგინა...

სამეურნეო 2021 წელი წარმატებით დასრულდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსს ლევან კურტანიძეს ვთხოვეთ ესაუბრა ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის და მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების და მომავლის ამოცანების შესახებ.

– ბატონო ლევან, ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის და ცდილობს პროგრამების მეშვეობით დაეხმაროს ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აწარმოონ მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

რამდენია ყვარლის მუნიციპალიტეტში გასულ წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა და მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლები?

– ხელისუფლება დიდ რესურსს ახმარს სოფლის მეურნეობის განვითარებას, როგორც წარმოების ზრდის, ასევე ხარისხის და რეალიზაციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად. მოქმედებს“ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ხორციელდება სოფლის განვითარების სააგენტოს ეგიდით, პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დაფინანსებულ ს.ს „კოოპერატივებს“,ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების სტანდარტების

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

„გვეშველება რამე?..“

ახლა „ომიკრონის“ ცეცხლი ბრიალებს, ადამიანების სულში შიშის ჭიამ დაიბუდა, თუმცა, მაინც ყოველი მომდევნო დღის იმედიან მოლოდინში ვათენ-ვაღამებთ ტელევიზორის ეკრანებთან.

გამონაკლისი არც მე გახლავართ, მაგრამ როგორც სტაჟიანი „ჟურნალისტი“, რომელიც გაზეთ „ყვარელში“ საკმაო ხანია ვმსახურობ, ინფორმაციის დიდ ნაწილს მაინც პრესის საშუალებით ვიღებ და მათი ანალიზის შედეგად მჯერა, რომ 2022 წლიდან აუცილებლად სიკეთის სიტკბო დაიღვრება ჩვენს ოჯახებში.

აი, ამიტომაც შემიძლია ჩემი წერილის სათაურშივე გამოტანილ რიტორიკულ შეკითხვაზე „გვეშველება რამე?“ გულდაჯერებით და დარწმუნებით გავცე პასუხი: „დიახ, გვეშველება“.

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე

სოფლის მეურნეობაში წარმოებული ყველა სახეობის პროდუქციი რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 118 მილიონი ლარი შეადგინა...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

დანერგვა-სერთიფიცირებაში, მათ შორის ბიო სერთიფიცირებაში ცდილობს ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებლის ანდა გადამამუშავებელი ბიზნეს ოპერატორის აღიარების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვაროს უპრობლემოდ.

2021 წელს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებული პროდუქციის მოცულობამ და რეალიზაციით მიღებულმა საშუალო შემოსავალმა შეადგინა:

ყურძენი: 53000 ტონა, შემოსავალი 71 მილიონი ლარი;

თხილი: 3000 ტონა, შემოსავალი 21 მილიონი ლარი;

საშემოდგომო მარცვლეული: 11000 ტონა, შემოსავალი 8 მილიონი ლარი;

ბაღჩეულ-ბოსტნეული: 130 000 ტონა, შემოსავალი 8 მილიონი ლარი;

ხეხილი: 4000 ტონა, შემოსავალი 4 მილიონი ლარი;

თაფლი: 300 ტონა, შემოსავალი 3 მილიონი ლარი.

სოფლის მეურნეობის სხვა შემოსავალმა შეადგინა 3 მილიონი ლარი.

გასულ წელს სოფლის მეურნეობაში წარმოებული ყველა სახის პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 118 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

– ფერმერებისა და მეწარმეებისათვის რა სახის ფინანსური რესურსი იყო ხელმისაწვდომი და რამდენმა ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება?

– მოგეხსენებათ ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი და მიმართულება აქტუალურია, რაც ჩვენს კლიმატურ პირობებს შეესაბამება, სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციები ა (ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ეგიდით ახორციელებს საგრანტო პროგრამებს თითქმის ყველა დარგობრივ მიმართულებით და ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის.

2021 წელს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო სუბსიდირების „რთველი 2021“, საგრანტო თუ სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამების ფარგლებში, როგორიც არის „აგროდაზღვევა“, „შეღავათიანი აგრო კრედიტი“, „სასოფლო სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“; „დანერგე მომავალი“: „აგრო დიზელი“; „კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება“ და სხვა; პროგრამებით ისარგებლა და თანადაფინანსება მიიღო 4000-მდე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, დაფინანსების და მიღებული სუბსიდიის თანხამ შეადგენდა 20 მილიონ ლარამდე.

– პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში რამდენ ჰექტარ ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურები?

–პროგრამა „დანერგე მომავალი“ ბაღების და კენკროვნების კომპონენტით ისარგებლა 20-მა ფერმერმა, გაშენდა 30 ჰექტარზე, გაშენდა მრავალწლიანი ნარგავების ბაღები, ხოლო 100 პროცენტიანი დაფინანსებით, შვიდმა ფერმერმა 3 ჰექტარზე გაშენა კენკროვანი კულტურები.

– 2018 წელს დაიწყო მექანიზაციის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ტექნიკის შეძენაში თანადაფინანსებას ითვალისწინებს, რამდენმა ფერმერმა ისარგებლა და სამი წლის განმავლობაში რა სახის ტექნიკა შემოვიდა ყვარლის მუნიციპალიტეტში?

– 2018 წლიდან „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა 400-მდე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, ფერმერები მათი ნაკვეთების შესაბამისად ირჩევდნენ სასურველი სიმძლავრის ტექნიკას და იმპლიმენტებს, ძირითადი მოთხოვნა 25-დან 75 ცხენის ძალიან ტრაქტორებზე გაკეთდა, ასევე დაფინანსდა მოტობლოკები და მოსავლის ამღები ტექნიკა.

– რამდენმა კოოპერატივმა ისარგებლა „მევენახეობის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამით და სულ რამდენი კოოპერატივი ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში?

– „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა ჩვიდმეტმა რეგისტრირებულმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, რომელთაც გრანტის სახით გადაეცათ 100 ტონის მოცულობის ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოსთვის აღჭურვილობა და დანადგარები. ხოლო 2019-2020 წლებში, გრანტის სახით აღნიშნულმა კოოპერატივებმა მიიღეს 500000 ლარი, 100 ტონიანი მოცულობის ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს მოსაწყობად. დაფინანსებული ყველა საწარმო მოქმედია და აქვთ წარმოების ზრდა.

– მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა თუ გაიზარდა და რა დახმარებები გაეწიათ მათ?

– „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა რვა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივმა, რომელთაც 70 პროცენტი დაფინანსებით გადაეცათ ხის სკები, თაფლის შესანახი ავზი, საწური აღჭურვილობა, ასათლელი დანები და გენერატორები.

– აგროდაზღვევით რამდენმა ფერმერმა ისარგებლა გასულ წელს?

– სახელმწიფო პროგრამა „აგრო დაზღვევა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფერმერის საქმიანობაში, ამცირებს სტიქიის შედეგად მიყენებულ ფინანსურ ზარალს, პროგრამაში მონაწილე ფერმერების რიცხვი მზარდია, 2021 წელს 2000-მდე ფერმერმა ისარგებლა პროგრამით.

– წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსება როგორ წარიმართა?

– „დანერგე მომავლის“ ქვეკომპონენტის ფარგლებში ხორციელდება ჭის ჭაბურღილის და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობა, გასულ წელს მუნიციპალიტეტში მოეწყო 30 ჭაბურღილი და გასარწყავიანდა 150 ჰექტარი მრავალწლიანი ხეხილის ბაღები.

– სახელმწიფოს მიერ მარცვლეულ კულტურებზე სუბსიდირების შედეგად გაიზარდა თუ არა ნათესი ფართობები?

– 2020 წელს სახელმწიფომ „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში დააფინანსა მარცვლეული კულტურების წარმოება, რამაც ხელი შეუწყო ნათესი ფართობების და წარმოებული პროდუქციის გაზრდას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა საგრანტო პროგრამებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ბაღები.

– გასულ წელს სეტყვამ ვენახების მნიშვნელოვანი ფართობები გაანადგურა, რამდენმა ადამიანმა მიიღო დახმარება სახელმწიფოს მხრიდან?

– კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა 2021 წლის 16 აგვისტოს, 2 სექტემბერს და 23 სექტემბერს სტიქიას (სეტყვა), 600-მა მევენახემ მიიღო ერთჯერადი დახმარება 1,5 მილიონი ლარის მოცულობით.

– მეცხოველეობაში რა ხდება, არის სასიკეთო ცვლილება ამ დარგში?

– გასულ წელს მიმდინარეობდა „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანიც წარმოადგენდა რძის მცირე მწარმოებლებისთვის მდგრადობის და მოქნილობის ხელშეწყობა გაუმჯობესებას. „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში მაღალ პროდუქტიული პირუტყვის შესაძენად სესხი ფინანსდება, ასევე დონორ ორგანიზაციებს აქვთ სხვადასხვა სახის დაფინანსებები დარგის გასავითარებლად. მიმდინარე წელს იგეგმება ხსენებული პროგრამის განახლება.

– სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამებიდან რომელი დარჩა მოქმედებაში და მიმდინარე წლიდან რომლები იქნება ხელმისაწვდომი?

– მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებია: „დანერგე მომავალი“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა“, განახლდება „აგროდაზღვევა“ და სხვა სახელმწიფო პროგრამები, მოქალაქეებს შეუძლიათ პროგრამების შესახებ განახლებული ინფორმაცია მიიღონ სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ გვერდზე rda.gov.ge, გაიარონ რეგისტრაცია mymepa.gov.ge, რაც მნიშვნელოვანია მათთვის სასურველი ინფორმაციების მისაღებად და პრობლემების დასაფიქსირებლად. მომართვის საფუძველზე ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები ფერმერებს გაუწევენ შესაბამის კონსულტაციას, ასევე გვაქვს დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან.

– გმადლობთ ბატონო ლევან, გისურვებთ მნიშვნელოვან წარმატებებს.

ესაუბრა
ალექსანდრე
გიგილოშვილი

„გვეშველება რამე?..“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მე ჩემი, როგორც ერთი რიგითი „ჟურნალისტის“ აზრი გამოვხატე. ვფიქრობ, გაზეთ „ყვარლის“ მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რას ფიქრობენ და რას მოელიან ახალშემობრძანებულ 2022 წელს ჩემი კოლეგა ჟურნალისტები.

გაზეთ „ყვარლის“ პირველი ნომრის რესპონდენტია ბატონი ვალერიან ზურაშვილი, რომელიც ჩვენთან 1975 წელს გაზეთის რედაქტორად მოავლინეს. იგი წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში. ერთხანს იყო სახალხო დამცველის წარმომადგენელი კახეთის რეგიონში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული კახეთის სამხარეო პოლიციის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, სამხარეო გაზეთის რედაქტორი.

იყო და არის თავისუფალი და საღად მოაზროვნე პიროვნება. ყოველთვის დიდ პატივს სცემს განსხვავებულ აზრს. სიტყვაც რომ უჭრის და კალამიც ეს მისი თვითშემოქმედებიდანაც კარგად ჩანს. მის კალამს ეკუთვნის წიგნები „კახეთი“, „ყვარელი“, ასევე წიგნები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. იგი გახლავთ ყვარლის საპატიო მოქალაქე. მას დღემდე არ შეუწყვეტია შემოქმედებითი კავშირი გაზეთ „ყვარლის“ რედაქციასთან.

– ბატონო ვალერი, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას, შობას, გისურვებთ ჯანრთელობას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად და წარმატებებს თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში. რას გვეტყოდით 2022 წელზე, ანუ „გვეშველება რამე?“

– უსაშველობისა რა გვჭირს! უბრალოდ, ცოტა ორბიტას ავცდით, მაგრამ ყველაფერი დალაგდება, დაწყნარდება და თავის კალაპოტში ჩადგება, ხოლო ისინი, ვინც ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირად ამბიციებს აყენებენ, ერისა და ღვთის სამართალს ვერსად გაექცევიან.

– თქვენ პოლიტიკოსებზე ამბობთ?

– არა, იმ ნამუსგარეცხილ პოლიტიკანებზე, რომლებიც „კახაბერს კახაბერად არ მიიჩნევენ, შავს თეთრად ასაღებენ, მათ, რომლებმაც დაივიწყეს სამი ღვთაებრივი საუნჯე, – „ენა, მამული და სარწმუნოება“.

– ასეთებში თქვენს კოლეგებსაც ხომ არ გულისხმობთ?

– ისინი ჩემი კოლეგები არ არიან, განსაკუთრებით ტელე-ჟურნალისტები.

– რა პრეტენზია გაქვთ მათთან?

– პირველ რიგში გაზეთისა და ტელევიზიის მუშაკების ვალია საზოგადოებას სწორი, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიაწოდონ, ქვეყნის აღმშენებლობას შეუწყონ ხელი და არა დაშლა–ჩამოქცევას. დღეს ამას ვერ ვხედავ. სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენს საზოგადოების ნაწილს ძალით კვებავენ ცრუ სენსაციებით, ტყუილებით.

– ჩვენი გაზეთი...?

არა, საბედნიეროდ, თქვენი და სხვა გაზეთებიც თანამიმდევრები არიან და მწყობრში მიჰყვებიან ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. აი თუნდაც თქვენი გაზეთი ავიღოთ. აბა, სცადეთ და ცილისმწამებლური წერილები წერეთ, არავინ არ გაპატიებთ, მყისვე სათანადო პასუხს მოსთხოვენ წერილის ავტორსაც და რედაქტორსაც, ამიტომ თქვენ შენარჩუნებული გაქვთ ჟურნალისტური პრინციპები და ტრადიციები.

– ტელე-ჟურნალისტებისაგან განსხვავება რაშია?

– ამაზე პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი შეფასება მექნება; ტელევიზიების უმრავლესობა თავიანთი დამფუძნებლებისა და დამფინანსებლების ინტერესებს გამოხატავენ, მათ ნება-სურვილს ასრულებენ. სამწუხაროდ, ეს კერძო ინტერესები დაცლილია სიკეთისგან, სიყვარულისგან, კაცთმოყვარეობისგან. ერთი სიტყვით, სული ეშმაკისთვის აქვთ მიყიდული ასეთ ჟურნალისტებს.

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– კანონი უნდა გამკაცრდეს როგორც სხვა ქვეყნებშია. ცილისმწამებელმა პასუხი უნდა აგოს უმკაცრესად.

ცრუ, გამიზნულ, ადამიანის შეურაცხმყოფელ გადაცემებზე უსწრაფესი რეაგირების ინსტრუმენტები 2022 წელს გამოჩნდება, მე ამისი მჯერა და საზოგადოების დაკვეთაც ასეთია. ანგარებიან გადაცემებზე ბოდიშის მოხდა გამოსავალი არაა.

– რამდენიმე სიტყვა რაიონის მომავალზე.

– ყვარელშიც, ისე, როგორც სხვა რეგიონებში, კოვიდის მიუხედავად აღმშენებლობის ტემპები იზრდება. ჩვენი ხალხი მშრომელი და მიწის ერთგულია. ახალ ხელმძღვანელსაც მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი აქვს დასახული და თუ ერის მოღალატე არა ხარ, სული და გული უნდა ჩადო მის განხორციელებაში. წარმატება და გამარჯვება უთუოდ იქნება, „ოღონდ ბუში და კოღო მოსცილდეს საქართველოს“, დიახ, „სარეველები“ ძირიანად უნდა ამოვძირკვოთ.

– საუბრის ფინიშზე რას გვეტყვით?

– „წისქვილის ქვაც კი მოტრიალებულა ჩვენს თავზე“, მაგრამ წელგამართულნი მოვდივართ აქამდე. 2022 წელს უთუოდ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები ქვეყნის გამთლიანებისაკენ. სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

სამართალი იზეიმებს. საკადრისად დაისჯებიან კაცის მკვლელები, მწვალებლები, ფულზე გაყიდულები, ქვეყნისა და ერის მოღალატეები. ხვავი და ბარაქა მოიმატებს, დაფასდება გლეხ-კაცის მარჯვენა, ღვთისმშობლის წილნაყარ ქვეყანას ღმერთი არ მიატოვებს და მამულიც გაბრნყინდება.

– იმედიანი სიტყვებია...

– რატომ ვარ ასე იმედიანად? იმიტომ, რომ „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს, იმიტომ, რომ მჯერა უდიდესი მამულიშვილის ლოცვასავით აღვლენილი სიტყვების – „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“

– გმადლობთ ინტერვიუსთვის.

– თქვენც გმადლობთ, კეთილი სურვილები თქვენი გაზეთის რედაქციის ყველა მუშაკს. მჯერა, რომ 2022 წელი ჭეშმარიტად ბედნიერი მომავალის თარიღი იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ყველაფერს, ყველაფერს მოევლება და გვეშველება!

ინტერვიუ ჩაიწერა
დალი ტატულიშვილმა

სპორტულ ასპარეზობებზე

თავისუფალი ჭიდაობა

გასული წლის მიწურულს, 24-26 დეკემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (უფროსი ასაკი), სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილები რობერტ დინგაშვილი და ნიკოლოზ ბუშელაშვილი.

რობერტ დინგაშვილმა (57 კგ. წონითი კატეგორია) დიდი უპირატესობით მოიგო წინასწარი შეხვედრები, დათმო მხოლოდ ფინალური შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვა ვერცხლის მედალი. (მწვრთმელები ვანო ჭანტურიძე, გივი მეტრეველი).

ასევე წარმატებით იასპარეზა 70 კგ. წონით კატეგორიაში ნიკოლოზ ბუშელაშვილმა. მან 10:0 მოუგო გორელ ჯინიკაშვილს, ხოლო მეორე შეხვედრაში ანგარიშით 10:6 სძლია ევროპის პრიზიორს გიორგი ელბაქიძეს. ნახევარფინალში მსაჯთა არაობიექტურობის გამო დათმო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან, ქუთაისელ სულუხიასთან. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დიდი უპირატესობით, ანგარიშით 15:5 დაამარცხა თბილისელი ტატალაშვილი და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. (მწვრთნელი მალხაზ როზომაშვილი).



ზურაბ იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და კაშკაშა ვარსკვლავი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მოძრაობისა

ზურაბის მსგავსი ეროვნული გმირები უმრავლოს უფალმა ყვარელს და ჩვენს სამშობლოს

5 თებერვალი ღირსსახსოვარი თარიღია ერის ისტორიაში, რადგან ამ დღეს დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი, ყვარელი ჭავჭავაძეების უკანასკნელი შთამომავალი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც ქვეყნის უდიდესი პატრიოტი და ეროვნული მოღვაწე გახლდათ. ბატონ ნიკოსთან და ბატონ ზურაბთან ახლო ურთიერთობაში იყო ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი, ამიტომაც ვთხოვეთ გამოენახა დრო და მათ შესახებ გვესაუბრა.

– მამაო ბენიამინ, წელს, 5 თებერვალს საქართველოს ეროვნულ გმირს, ეროვნული დამოუკიდებლობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ზურაბ ჭავჭავაძეს დაბადებიდან 69 წელი შეუსრულდა. როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

– პირველად ზურაბი 1979 წლის 30 სექტემბერს გავიცანი, როდესაც ის, როგორც უწმიდესის მდივანი, უწმიდესთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად, მობრძანდა ჩვენი ერის სულიერი მამის ნააკვნარში. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და სამწუხაროდ, მხოლოდ 10 წელი გაგრძელდა, იმ საბედისწერო ბორითის ავარიამდე...

იმ დროს წმინდა ილია მართლის მუზეუმს სათავეში ედგა ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ილო ბეროშვილი. მასთან, ილიას ეზო-კარში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ახალგაზრდები: ზურაბ ჭავჭავაძე, მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და ამ მადლიან მიწაზე გეგმავდნენ ჩვენი ერის გაღვიძებას, ბრძოლას იდეისათვის:"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". მათ სხვა ყვარლელ გულშემატკივრებთან ერთად, მეც სულ თან ვახლდი, როგორც წმინდა ილია მართლის მუზეუმის ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსახური, ილიას იდეებითა და მრწამსით აღზრდილი და გულანთებული... ბრძოლის იდეა კი ასეთი იყო: თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი უნდა გამოსულიყო მარადიული სიბნელიდან – მხოლოდ უფლის რწმენა შეაძლებინებდა ერს ებრძოლა მაღალი იდეალებისათვის. რაც შეიძლება მცირე დროში უნდა გახსნილიყო ბოქლომდადებული წმიდა ტაძრები, რათა უფლისაკენ შემობრუნებულიყო ერი.

სულიერების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის მსახურება, ჭავჭავაძეების საგვარეულო ტაძარში, სწორედ მე მომანდეს ბატონმა ილომ, ჩემმა სულიერმა აღმზრდელმა, ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ზურაბ ჭავჭავაძემ, როცა ამოიკითხეს ჩემს თვალებში სიყვარული, სულში სიკეთე და რწმენა. ყველაზე მძიმე აგური მარგუნა უფალმა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დიდ ბასტიონზე, ღმერთისა და რწმენის საკურთხეველზე დასადებად. მას შემდეგ სამთვეულ წელზე მეტი გავიდა და ვცდილობ, იმედი არ გავუცრუო ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს, ერთგულად ვემსახურო უფალს და ჩემს ყვარლელებს და მინდა ცოტათი მაინც მივემსგავსო წმინდა ილია მართლის თხზულებებში აღწერილ იდეალურ მოძღვარს.

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ზურაბ ჭავჭავაძე გახლდათ. თქვენც თუ იღებდით მონაწილეობას ამ მნიშვნელოვან პროცესში?

– წმინდა ილია მართლის წმინდანად შერაცხვის იდეა სწორედ ყვარელში, მის ეზო-კარში დაიბადა. უწმიდესი ზურასთან ერთად, ალავერდობის შემდეგ, ყოველწლიურად შემოივლიდა ხოლმე ბატონ ილო ბეროშვილთან, მუზეუმის დირექტორთან და ჰქონდათ სჯაბაასი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, მათ შორის ილიას წმინდანად შერაცხვაზე, რომელიც ჩვენი ერის უგვირგვინო მეფემ თავისი შრომითა და ღვაწლით და სამშობლოსადმი თავგანწირვით, ნამდვილად დაიმსახურა. წმინდანის კანონიზაციისათვის, საჭირო შეიქმნა ხელმოწერების შეგროვება მისი მშობლიური კუთხიდანაც, რომლის ორგანიზაციაც მე დამავალეს. შევაგროვე ხელმოწერები და ბატონ ილოს დაწერილ, ილიას ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველ ვრცელ ტექსტთან ერთად, ჩავუტანე ზურაბ ჭავჭავაძეს თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ოფისში. ეს ყველაფერი საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოსულ ხელმოწერებთან ერთად, წარადგინა მან წმინდანის ინტრონიზაციისთვის დანიშნულ წმინდა სინოდის სხდომაზე. წმინდა ილია მართლის წმინდანად შერაცხვიდან 20 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი მისი საავედრებელი პარაკლისი, რასაც ძალიან განვიცდიდი. მეუფე სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით,უკვე როგორც სასულიერო პირმა, გავბედე და შევადგინე ეს პარაკლისი, რომლითაც ყოველწლიურად, წმიდა ილია მართლის დაბადების, გარდაცვალების და მისი ანგელოზის დღეს აღუვლენთ ხოლმე ჩვენი ერის სულიერ მამას.

– სამწუხაროდ ავტოავარიამ იმსხვერპლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა, ხოლო მასთან ერთად მყოფი ზურაბ ჭავჭავაძე გადარჩა, მაგრამ სამთვიანი მკურნალობის შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. ეს ხომ ჩვენი ერის ტრაგედია იყო?

– ნამდვილად ეს იყო ჩვენი ერისთვის უმძიმესი ტრაგედია, რომ 1989 წლის 13 ოქტომბერს, სოფელ ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული გმირი – მერაბ კოსტავა, ხოლო მეორე ეროვნული გმირი – ზურაბ ჭავჭავაძე კი მძიმედ დაშავდა. მკურნალობის შედეგად, რომელიც უტარდებოდა თბილისის ნევროლოგიურ ინსტიტუტში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელა, მაგრამ დღითიდღე უმჯობესდებოდა, მაგრამ მდგომარეობა საბედისწეროდ გაართულა მოულოდნელად შეყრილმა ბოტკინის დაავადებამ. ძნელი სათქმელია, რა იყო ამისი ნამდვილი მიზეზი, საბჭოთა სისტემაში ყველგან გამეფებული დანაშაულებრივი დაუდევრობის, თუ სხვა რამ.

– ზურაბ და ნიკო ჭავჭავაძეებთან რა ურთიერთობა გქონდათ და როგორ შეაფასებთ მათ მიერ გაწეულ ღვაწლს სამშობლოს წინაშე?

– ჭავჭავაძეები ყოველთვის ფარად ედგნენ ჩვენს ტანჯულ ქვეყანას და ჩვენს დროშიც, მამა-შვილი – ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებიც დაუღალავად ზრუნავდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და მისი ნათელი მომავლისათვის. ზურაბი იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და კაშკაშა ვარსკვლავი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მოძრაობისა. იგი დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკოსი და შეუდარებლად მეტსაც გააკეთებდა ერის საკეთილდღეოდ, რომ დასცლოდა...

ბევრჯერ შევხვედრივარ ზურას თბილისსა თუ ყვარელში და ყოველი მასთან შეხვედრა დღესასწაული იყო ხოლმე ჩემთვის. მეამაყებოდა, რომ ყვარლელი იყო, ჭავჭავაძეანთ დიდებული გვარის შთამომავალი, წმინდა ილია მართლის ნათესავი სულითაც და ხორცითაც, კაცი ყოვლად გონიერი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თვალისჩინი. ძნელი იყო ხოლმე მისი პოვნა, რამდენჯერ ავსულვარ მასთან სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, ან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ოფისში და დავლოდებივარ. მარტო მე კი არა, ყველა ეძებდა და ელოდა, ყველას სჭირდებოდა და ისიც ყველგან და ყველასთან იყო, ან როგორ ასწრებდა?

მახსოვს, როგორი დიდი რუდუნებით აღადგინა თავისი წინაპრების საფლავები, როგორ ჩამოიტანა ყაზბეგიდან მწვანე მარმარილოს ქვები და თავისივე ხელით დააწყო. მერე რამდენი იწვალა მშობლიური ეკლესიის გახსნაზეც და თავისი კუთხე ხელმეორედ რწმენისაკენ შემოაბრუნა. მისი სურვილით, სასულიერო სემინარიაში შესვლა გადავწყვიტე, მაგრამ იმ წელიწადს ჩაბარება დამაგვიანდა. ზურამ გამამხნევა და თხოვნის წერილი გამატანა სემინარიის რექტორთან:"ამ ბარათის მომტანი – ჩემი მეგობარი ყვარლელი კაცია. მუშაობს ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ილო ბეროშვილთან. ყოველმხრივ სასურველია, რომ სასულიერო განათლება მიიღოს და ყვარლის ეკლესიის მრევლი გახდეს. წელს ჩაბარება დაუგვიანდა... ჩემი უმორჩილესი თხოვნაა მისცეთ პირველი კურსის საგნების წიგნები – და კონსპექტები, რათა მოემზადოს და გაისად მეორე კურსზე დაჯდეს, რომ დრო არ გაუცდეს. 30 წლისაა, სამი შვილის მამა, დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის ინსტიტუტი, ხელოვნებათმცოდნეობის მეორადი ფაკულტეტი და უცხო ენების ორწლიანი კურსები.

ბოდიშს გიხდით პირადად რომ ვერ მოვედი, უახლოეს ხანში გინახულებთ.

ზ. ჭავჭავაძე 25.01.88 წელი.

შემდეგ, როდესაც ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში გამოცდები და

ჩავირიცხე, მართლაც მეორე კურსზე დამსვეს. პირველად მასთან გავიქეცი, რომ მეხარებინა და მადლობა მომეხადა ჩემდამი დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

ოქტომბრის თვის ხუთშაბათი იყო, საღამო. ბრიფინგზე ეჩქარებოდა მეგობებთან ერთად. ორიოდე სიტყვის თქმაღა მოვასწარი: ზურა, ჩავირიცხე, მეორე კურსზე მიმიღეს, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ვეცდები კარგად ვისწავლო, არ შეგარცხვინო და არ შევარცხვინო პირველ რიგში ჩვენი ყვარელი და სამშობლო მეთქი. კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა დაღლილ სახეზე და მითხრა, ეხლა მეჩქარება და მაპატიე. შემდეგ რომ შეგხვდები, დიდი სალაპარაკო მაქვს შენთანო. მაგრამ, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. რას ვიფიქრებდი, რომ მის საგვარეულო ეკლესიაში, მის მიერვე აღდგენილ და მოვლილ საფლავთა გვერდით, სხვებთან ერთად, მეც მომიწევდა მის სამარეზე მშობლიური მიწის მიყრა და მათი დიდი საძვალის მომვლელად და მცველად დარჩენა...

რაც შეეხება ბატონ ნიკოს, მასაც მუზეუმში მუშაობის დროიდან ვიცნობდი. მეგობრობდა ის ბატონ ილოსთან და როცა ყვარელში შემობრძანდებოდა, აუცილებლად შემოუვლიდა ხოლმე მას სანახავად. არაერთხელ გავუგზავნივარ ბატონ ილოს მასთან საქმეზე ფილოსოფიის ინსტიტუტში თუ ბინაზე. ზურას გარდაცვალების შემდეგ კი, უფრო ახლოს გავიცანი, ხშირად მოდიოდა ხოლმე ტაძარში და უყვარდა შვილის საფლავთან მარტო დარჩენა.

დიდია ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეების გაწეული ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ისინი, როგორც მათი სახელოვანი წინაპრები, იყვნენ ჩვენი ქვეყნის ერთგული მსახურნი, მისი ტრადიციებისა და კულტურის დამცველნი და განმავითარებელნი. თითოეული მათგანის საზრუნავი იყო კულტრული ფასეულობების დამკვიდრება და განმტკიცება. ისინი იყვნენ ღირსეული შვილები ჩვენი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტელიგენტები, მეცნიერები, აქტიური მოქალაქეები და საზოგადოების ზნეობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლი რაინდები, დიდი პოტენციალის მქონე ეროვნული მოღვაწეები, კეთილშობილი პიროვნებები და ბრწყინვალე მამულიშვილნი.

– ნიკოს და ზურაბს ძალიან უყვარდათ მშობლიური ყვარელი და მამაპაპეული სახლ-კარის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ბოლოს სიმართლემ გაიმარჯვა, თქვენი აზრი როგორია?

– აქამდეც უნდა დაბრუნებოდათ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო, ნათქვამია. ჭავჭავაძეები იყვნენ ყვარლის აღმაშენებლები და ზურას შთამომავლობის ყვარელში დაბრუნებით, იმედია მრავალი კარგი საქმე გაკეთდება და სასიკეთოდ წაადგება ისევ ყვარელს და ყვარლელებს. ამაში კი დაგვეხმარება ყველას ისევ ეროვნული გმირის – ზურაბ ჭავჭავაძის უკვდავი სული:

„ნათლისმცემელს ჩაუხუტავს ძვლები,
ჭავჭავაძეთ უღალატო გვარის...
მათთან ერთად, ეროვნულ
გმირს ვხვდები,
და ვლოცულობ მომავალზე ხვალის".

ზურაბის მსგავსი ეროვნული გმირები უმრავლოს უფალმა ყვარელს და ჩვენს სამშობლოს. ის „საქართველოსთვის შეწირული წარსდგა უფალთან და კვალი მისი, დევის იყო, კაცის კი არა".

P.S. ამ დღეს იოანე ნათლისმცემლის ტაძარში დეკანოზმა ბენიამინმა ზურაბ ჭავჭავაძის სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი აღავლინა. შემდგომ ზურაბის ქალიშვილებმა ყვარლელი და თბილისიდან ჩამობრჩენებული მეგობრები ტრადიციულ ქართულ სუფრაზე მიგვიპატიჟეს. ზურაბის თანამებრძოლებმა სოფო გაიხარაშვილმა, სოსო გერმანიშვილმა, ჯუმბერ კახაძემ და ტარიელ ღვინიაშვილმა გაიხსენეს ზურაბთან გატარებული ბავშვობის და ახალგაზრდობის წლები. ღონისძიებას ყვარლის სამეგობროდან ესწრებოდა მამა ბენიამინ ჩიხორლიშვილი, ლევან კოკორაშვილი, მამუკა ბერრაიშვილი, ტარიელ გრატიაშვილი და ოთარ დავითაშვილი.

ზურაბის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო ისე გადავიდა შუა ღამეში, რომ სახლში წასვლა არავის გახსენებია.

ეს დღე სამუდამოდ დარჩება ჩვენს მესსიერებაში.

ალექსანდრე გიგილოშვილი

პატივცემულო აქციონერებო!

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 18 დეკემბერს სს „კორპორაცია ქინძმარაულის" საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

სს „კორპორაცია ქინძმარაულის" დირექტორატი მოგმართავთ თხოვნით,ის აქციონერები ვინც არ ესწრებოდნენ აღნიშნულ კრებას გამოცხადდით სანარმოს იურიდიულ მისამართზე (ი. ჭავჭავაძის 55-ში) და წარმოადგინეთ აქციათა საკუთრების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საბანკო რეკვიზიტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ აღნიშნულ მისამართზე სამუშაო დღეებში 11.00 დან 16.00 სთ-მდე.

სს „კორპორაცია ქინძმარაულის" დირექცია

გაზეთ „ყვარლის" რედაქციის და ყოფილი სტამბის თანამშრომლები იუწყებიან გაზეთის მბეჭდავის ეთერ თევდორაშვილი-ჯიქურიშვილის გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სამყაროს შექმნის 6 „დღე“: ბიბლია და მეცნიერება

ბიბლიური დრო

ერთ დროს, ჰომეროსის (ძვ. წ. აღრ. VIII ს.) „ილიადა“ „მანათობელი ვარსკვლავი“ იყო არქეოლოგი ჰ. შლიმანისთვის, რომელმაც ლეგენდარული ტროა აღმოაჩინა. ის ექსპედიციის მსვლელობისას, მხოლოდ ამ პოემით ხელმძღვანელობდა.

ისე, როგორც „ილიადა“ გახდა ინფორმაციის წყარო არქეოლოგებისთვის, ბიბლია მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სამყაროს შექმნას და განვითარების შესახებ.

თუ ბიბლიურ ალეგორიებს სიტყვასიტყვით არ გავიგებთ და მათ ინტერპრეტირებას მოვახდენთ, ვნახავთ რომ, წმინდა წიგნსა და რელიგიას შორის, არანაირი დაპირისპირება არ არსებობს.

დღეს გეოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ძველი აღქმის“ „დაბადებაში“ ჩვენი პლანეტის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ეტაპებია ასახული და როდესაც ერთმანეთს ბიბლიურ და სამეცნიერო ტექსტებს ვადარებთ, ბიბლიური „დღე“ ისე უნდა მივიჩნიოთ, როგორც დედამიწის განვითარების ფაზა, პერიოდი და არა 24 სთ-იანი დროის მონაკვეთი.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა სამყარო 6 დღეში შექმნა.

თამანედროვე გეოლოგიური მეცნიერება დედამიწის განვითარების ისტორიას ასევე 6 ნაწილად, დროის უდიდეს მონაკვეთებად, ერებად ყოფს:

I. გეოლოგიურამდელი;

II. არქაული (უძველესი);

III. პროტეროზოული (პირველადი სიცოცხლე);

IV. პალეოზოური (ძველი სიცოცხლე);

V. მეზოზოური (შუა სიცოცხლე);



VI. კაინოზოური (ახალი სიცოცხლე).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიურ „დღეებში“ და გეოლოგიურ ერებში მიმდინარე პროცესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე, მაგ., გეოლოგიურამდელი ერა 2 „დღეზე“ ნაწილდება, ხოლი მესამე „დღე“, – არქაულს მთლიანად და პროტეროზოური ერის ნაწილს მოიცავს.

დღე პირველი

ბიბლია: თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. გაყო ღმერთმა ბნელი და ნათელი. ნათელს უწოდა დღე, ხოლო ბნელს – ღამე.

მეცნიერება: მზე და მისი სისტემა 4, 6 მილიარდი წლის წინ ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი ისტორია ბევრად უფრო ადრე, 6 მილიარდი წლის წინ დაიწყო, მეორე თაობის გიგანტური ვარსკვლავის აფეთქების შედეგად.

თუ როგორ წარმოიქმნა სამყარო, უცნობია. ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, სამყარო 13, 7 მილიარდი წლის წინ, დიდი აფეთქების შემდეგ შეიქმნა:

აფეთქდა ატომზე უფრო პატარა ნაწილაკი, რომლის სიმკვრივე და ტემპერატურა უსასრულოდ დიდი იყო. პირველად წარმოიქმნა გრავიტაციული ძალა. წამის მემილიონედში, მოლეკულის ხელა სამყარო – ტენისის ბურთის ხელა გახდა. წამის მეორე მემილიონედში – მზის სისტემის ხელა. ამ დროს, სმყაროს ტემპერატურა ტრილიონი გრადუსი იყო. თანდათანობით ტემპერატურამ დაცემა, ხოლო სამყარომ – გაფართოება დაიწყო.

როგორც ატომური ბომბის აფეთქების დროს, ნივთიერება ენერგიად გარდაიქმნება, ასევე დიდი აფეთქების დროს, ენერგია ნივთიერებად გარდაიქმნა: პირველად გაჩნდნენ სუბატომები, რომლებიც უწესრიგოდ და სწრაფად მოძრაობდნენ. სამყაროს შექმნის I წამში, სუბატომებისგან ატომები ჩამოყალიბდა. პირველად წყალბადის ატომები შეიქმნა, ხოლო 3 წუთის შემდეგ – ჰელიუმის. იმ დროს, სამყარო რძისფერი იყო.

300 ათასი წლის შემდეგ, რძისფერი სამყარო გამჭვირვალე გახდა და ამ დროიდან დაიწყო ვარსკვლავების ფორმირება.

პირველი ვარსკვლავები, დიდი აფეთქებიდან, 200 მილიონი წლის შემდეგ გაჩნდნენ.

1 მილიარდი წლის შემდეგ, შეიქმნა გალაქტიკები.

9 მილიარდი წლის შემდეგ ანუ 4, 6 მილიარდი წლის წინ, შეიქმნა მზის სისტემა.

თავისი არსებობის დასაწყისში, დედამიწა გავარვარებული პლაზმის სფეროს წარმოადგენდა, რომლის ზედაპირზე, ტემპერატურა თითქმის იმდენი იყო, რამდენიც ამჟამად მზეზე არის. მის ზედაპირზე მოძრაობდნენ გავარვარებული ლავის მდინარეები, ზემოდან მოდიოდა მეტეორიტეტის წვიმა, ხოლო სიღრმეში აქტიურად მიდიოდა რადიაქტიული რეაქციები, რომელიც შიგნიდან ახურებდა პლანეტას.

დაბადებიდან, დაახლოებით 70 მილნ. წლის შემდეგ, დედამიწას მარსის ხელა ციური ობიექტი – პლანეტა თეია შეეჯახა. მისი შეჯახება ძლიერი და გამჭოლი იყო. თეიამ, ფაქტიურად, დედამიწის გულში გაიარა, რამაც პლანეტის სფეროსებურობის დარღვევა და მისი გულიდან მანტიის გადმოღვრა გამოიწვია. თხევადი პლაზმა გაიშალა უჰაერო სივრცეში, ხოლო პლანეტები ნამსხვრევებად იქცნენ. გრავიტაციის ძალის გავლენით, გაბნეული ლავა ორ არათანაბარ გუნდად შეიკრა. ამ შეჯახებამ, დიდი ცვლილებები გამოიწვია დედამიწაზე: ლავასთან ერთად, პლანეტის სიღრმიდან მეთანი, ნახშირბადი და წყალბადი ამოვიდა. ეს იყო პირველი ატმოსფერო დედამიწაზე. გარდა ამისა, დაიხარა დედამიწის წარმოსახვითი ღერძი, რაც თავის მხრივ, მილიონობით წლის შემდეგ, სეზონების ცვლის მიზეზი გახდა პლანეტაზე.

მთვარემ 100 წელში მიიღო სფეროს ფორმა და გრავიტაციული ძალის გავლენით, სამუდამოდ „მიება“ დედამიწას. იმ დროს, ის მხოლოდ 22 000 კმ-ით იყო დაშორებული პლანეტიდან.

მთვარის გამოჩენამდე, დედამიწის ღერძის ირგვლივ მოძრაობის დღეღამური სიჩქარე, 6 საათს შეადგენდა. მთვარემ შეანელა პლანეტის სიჩქარე და დროთა განმავლობაში, ეს დრო 24 სთ.-მდე გაიზარდა.

დღე მეორე

ბიბლია: ღმერთმა შექმნა ცა „და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარსა (ცის) ქვემოთ და წყალი, რომელიც არის მყარსა ზემოთ“.

მეცნიერება: მეცნიერების ენაზე, ეს შეესაბამება პროცესებს, რომლებიც დედამიწაზე გვიან გეოლოგიურამდელ პერიოდში მიმდინარეობდა (4, 4 მლრდ. წლის წინ დაიწყო და 3, 8 მილიარდი წლის წინ დასრულდა). დროის ამ მონაკვეთში ჩამოყალიბდა დედამიწის ატმოსფერო, ჰიდროსფერო, მისი პირველადი, ნაჭუჭისებრი ქერქი, რომელსაც ზემოდან მეტეორიტები აზიანებდნენ, შიგნიდან კი ვულკანები. ქერქზე გაჩენილი ვულკანებიდან, გავარვალებული ლავა იღვრებოდა, რომელსაც დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი და წყლის ორთქლი მოჰყვებოდა. ორთქლის კონდერსირებით, დედამიწაზე გაჩნდა წყალი. თუმცა, მეცნიერთა აზრით, ამ გზით მიღებული წყალი, ნამდვილად ვერ წარმოქმნიდა ოკეანეებს და რომ წყლის უდიდესი ნაწილი, კოსმოსიდან მოხდა ჩვენს პლანეტაზე, მეტეორიტების და კომეტების სახით, რომლებიც დიდი რაოდენობით ყინულს შეიცავდნენ.

დედამიწაზე მოხვედრილი ყინული დნებოდა, ორთქლდებოდა და ნახშირორჟანგს უერთდებოდა, შედეგად, წარმოიქმნებოდა მაღალი სიმკვრივის ღრუბლები. 4 მილიარდი წლის წინ, წვიმა წამოვიდა, რომელიც რამოდენიმე მილიონი წელი გრძელდებოდა და დედამინის ზედაპირი მთლიანად წყლით დაიფარა. მსოფლიო ოკეანის ტემპერატურა, იმ დროს, +200 გრადუსი იყო. წყალი დუღდა, ხოლო პლანეტა ორთქლში იყო გახვეული.

კატარქაული ერის ბოლოს, დასრულდა დედამიწის მყარი ბირთვის ფორმირების პროცესი და გაჩნდა ძლიერი მაგნიტური ველი, რომელიც დედამიწას მზის ქარებისგან დღემდე იცავს.

დღე მესამე

ბიბლია: თქვა ღმერთმა „შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი, და გამოჩნდეს ხმელეთი“. და იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს –ზღვა. თქვა ღმერთმა „აღმოაცენოს მიწამ მცენარეები“ და ასეც იყო.

მეცნიერება: სრულიად ნათელია, რომ III დღე საკმაოდ ხანგრძლივი დროის მონაკვეთს, – არქაულ ერას მთლიანად და პროტეროზოული ერის ადრეულ და შუა პერიოდებს მოიცავს.

არქაული ერის დასაწყისში ისევ გააქტიურდა ვულკანური პროცესები, ოკიანის ფსკერი დასკდა და დედამინის ზედაპირზე გავარვარებული ლავა ამოვიდა, რომელიც წყალთან შეხებისას, ცივდებოდა და გრანიტად იქცეოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მომავალ კონტინენტებს. დაიწყო დედამინის ქერქის ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესი. ამავე პერიოდში, გაჩნდნენ სიცოცხლის უმარტივესი ფორმები, ციანობაქტერიაების სახით. ხოლო მათი გაჩენით, დაიწყო ფოტოსინთეზის პროცესი დედამიწაზე.

არქაული ერის ბოლოს, 2, 1 მილიარდი წლის წინ, ძირითადად დასრულდა დედამიწის ქერქის კონტინენტალური ნაწილის ფორმირება.

დედამიწაზე ჟანგბადის გაჩენამდე, პირველი ოკეანე მწვანე ფერის იყო, იმიტომ რომ წყალი დიდი რაოდენობით რკინას შეიცავდა. წყალში ჟანგბადის გაჩენის შემდეგ, რკინა სუფთა ჟანგბადთან შეხებისას, იწვებოდა და ფსკერზე ილექებოდა. წყლის რკინისგან გაწმენდის შემდეგ, ოკეანე ლურჯი ფერის გახდა. ეს მოხდა 1, 5 მილიარდი წლის წინ. ამ დროისთვის, დედამინამ ისეთი სახე მიიღო, როგორიც ის კოსმოსიდან ჩანს. მაგრამ, ჯერ კიდევ წინ იყო კონტინენტების დრეიფი.

ოკეანეში იმ პერიოდში, უკვე იყო ლურჯი და მწვანე მრავალუჯრედიანი წყალმცენარეები, ხოლო ფაუნის წარმომადგენლებიდან: მედუზები, მოლუსკები და ჭიაყელები. პროტეროზოუროი ერის ბოლოს, ცოცხალ ორგანიზმებს უკვე განვითარებული ჰქონდათ სუნთქვის ორგანოები, ორგანიზმის ორმხრივი სიმეტრია და სქესი.

კონტინენტებთან და მსოფლიო ოკეანესთან დაკავშირებით, სამყაროს შექმნის ადრეულ პერიოდში, ბიბლიური მონაცემები და სამეცნიერო კვლევის შედეგები ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ, მცენარეებთან დაკავშირებით, შეუსაბამობაა, –მცენარეები ხმელეთზე ბევრად უფრო გვიან, პალეოზოური ერის II ნახევარში, 400 მლნ. წლის წინ, ოზონის ეკრანის გაჩენის შემდეგ გაჩნდნენ, როდესაც ჟანგბადის შემადგენლობა ატმოსფეროში 13 %-მდე გაიზარდა. ოკეანიდან პირველები ფსილოფიტები სწორედ მაშინ ამოვიდნენ.

დღე მეოთხე

ბიბლია: „თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად – დღეებისა და წელიწადებისა... და გააჩინა ღმერთმა 2 მთავარი მნათობი – დიდი მნათობი დღის განმგებლად და პატარა მნათობი – ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები“.

მეცნიერება: მეოთხე დღე, გეოლოგების აზრით, პროტეროზოური ერის გვიანდელ პერიოდს ემთხვევა, რომელიც დაახლოებით 1030 მლნ. წ. გრძელდებოდა. პლანეტის განვითარების ამ ეტაპზე, ატმოსფერო გამჭვირვალე გახდა. ხანგრძლივი წყვდიადის შემდეგ, დედამინის ზედაპირს მზის სხივები მისწვდა და მისი გათბობა დაიწყო. ხოლო ღამის ცაზე, მთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდა.

სწორედ ეს პროცესები არის ღმერთის მეოთხე დღის ქმედებებში. სხვა შემთხვევაში, რა საჭირო იქნებოდა მზის ხელახლა შექმნა და დღეს და ღამის გაყოფა, მზე ხომ სამყაროს შექმნის პირველ დღეს გაჩნდა?

დღე მეხუთე

ბიბლია: „თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს“.

მეცნიერება: ეს დღე პალეოზოურ ერას მთლიანად და მეზოზოური ერის ადრეულ და შუა პერიოდებს მოიცავს. პალეოზოური ერა 330 წელს გრძელდებოდა, ხოლო მეზოზოური – 173 მლნ. წელი.

პალეოზოური ერის დასაწყისში, კამბრიულ პერიოდში, წყალში მცხოვრებმა ცოცხალმა ორგანიზმებმა სწრაფი გამრავლება დაიწყეს. მეცნიერები ფაუნის ასეთ უეცარ გამრავლებას, წყალში დიდი რაოდენობით ჟანგბადის არსებობას უკავშირებენ. მას კამბრიულის დიდი აფეთქება დაარქვეს და თავისი მნიშვნელობით, სამყაროს შექმნის დიდ აფეთქებას შეადარეს, რადგან მას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა ბიოსფეროსთვის, რასაც დიდ აფეთქებას, სამყაროს შექმნისთვის.

კამბრიულის პერიოდში, ყველაზე მეტი სახეობის ცოცხალი ორგანიზმი იყო დედამიწაზე, ვიდრე ნებისმიერ სხვა პერიოდში. ფაქტიურად, ამ პერიოდის ბიოსფეროს წარმომადგენლებმა ჩაუყარეს საფუძველი ყველა ცოცხალი ორგანიზმის სახეობას დედამიწაზე. თუ საიდან გაჩნდნენ ამდენი სახეობის ორგანიზმები უცნობია, რადგან იმ დრომდე, მხოლოდ რბილტანიანი არსებები ცხოვრობდნენ, რომლებიც ქანებში ნამარხებს არ ტოვებდნენ. ცნობილია მხოლოდ, რომ 500 მილიონი წლის წინ, წყალში სხვადასხვა სახეობის ტრილობიტები ცხოვრობდნენ და მათი სიგრძე 3-დან 90 სმ-მდე მერყეობდა, სახეობების მიხედვით. ისინი იყვნენ პირველი ფეხსახსრიანები დედამიწის ისტორიაში.

დევონურ პერიოდში გაჩნდნენ პირველი ხერხემლიანი თევზები და ზვიგენები. ამავე პერიოდში, წყლის ზოგიერთ ბინადარს განუვითარდა სუნთქვის დამატებითი ორგანოები და გაჩნდნენ პირველი ამფიბიები.

კარბონული (ქვანახშირის) პერიოდის დასაწყისში, ატმოსფეროში ჟანგბადის რაოდენობა 35%-მდე გაიზარდა (დღეს 20%-ია), ხოლო ჰაერი თბილი და ნოტიო იყო, რამაც ხმელეთზე მცენარეების სწრაფი ზრდა და განვითარება გამოიწვია – გაჩნდნენ შიშველთესლიანი გვიმრები, რომელთა სიმაღლე 30-45 მ. იყო. ამ გიგანტურ მცენარეებს შორის, 70 სმ-ს სიგრძის ნემსიყლაპიები დაფრინავდნენ. გამრავლდნენ სხვა ფეხსახსრიანებიც, რამაც თავის მხრივ, ამფიბიების გამრავლება და ზრდა გამოიწვია. ზოგიერთი ამფიბიის სიგრძე 6 მ-ს აღწევდა. მოგვიანებით კვერცხმა ნაჭუჭი გაიკეთა და პირველი რეპტილიებიც გამოჩნდნენ. რომლებმაც მომდევნო ერაში, ხმელეთი და ცა დაიპყრეს – დედამიწაზე დინოზავრების ეპოქა დადგა.

მეზოზოური ერის II ნახევარში არქეოპტერიქსები გაქრნენ და ფრინველები გაჩნდნენ, მათ შორის, ყველაზე გავრცელებული იყო იხტიორნისი (უძველესი თოლია) და ჰესპერორნისი „დასავლეთის ფრინველი“.

დღე მეექვსე

ბიბლია: „გააჩინა ღმერთმა სულდგმული თავ-თავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი... და გააჩინა ადამიანი“.

მეცნიერება: მეექვსე დღეს მეზოზოური ერის ბოლო პერიოდი და კაინოზოური ერა შეესატყვისება, რომელიც 67 მლნ. წელი გრძელდებოდა.

მეზოზოური ერის დასაწყისში პირველი ძუძუმწოვრები გაჩნდნენ, მაგრამ დინოზავრებმა მათ განვითარების შანსი არ მისცეს. მხოლოდ მათი ბატონობის დასრულების შემდეგ, რომელიც 160 მლნ. წელი (225 მლნ. წლის წინ დაიწყო და 65 მლნ. წლის წინ დასრულდა) გრძელდებოდა, ძუძუმწოვრებს გამრავლება და განვითარების საშუალება მიეცათ.

დინოზავრების გადაშენების შემდეგ, ჯერ ფრინველები გაბატონდნენ პლანეტაზე, ხოლო მოგვიანებით, მათი ადგილი ძუძუმწოვრებმა დაიკავეს.

27 მილინი წლის წინ, გაჩნდნენ პრიმატები, ხოლო 25 მილიონი წლის წინ, ფაქტიურად, დასრულდა ფაუნის თანამედროვე ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი.

ხანგრძლივი დროის მანძილზე, მეცნიერებს ავსტრალოპითეკი მიაჩნდათ ჩვენს წინაპრად. მაგრამ, 2015 წელს ეთიოპიაში, აღმოჩენილმა ადამიანის ყბის ნაწილებმა, რომლებიც 3, 5 – 3, 3 მილიონი წლით არის დათარიღებული, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აღმოჩნდა, რომ ავსტრალოპითეკთან ერთად, გვერდი-გვერდ ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ჩვენნაირი კბილები ჰქონდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თერმულად დამუშავებული საკვებით იკვებებოდნენ.

ამ აღმოჩენის შემდეგ, უკვე ძნელია იმის გარკვევა, ადამიანის მსგავსი მაიმუნის ევოლუციით გაჩნდა დღევანდელი ადამიანი, თუ ადამიანის გენის მუტაციის შედეგად გაჩნდნენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები (შიმპანზე, გორილა, გიბონი, ორანგუტანგი).

ანთროპოლოგების მტკიცებით, ჩვენ და მათ, ერთი საერთო წინაპარი გვყავს.

თუმცა, არსებობს ალტერნატიული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ადამიანები დედამიწაზე სხვა პლანეტებიდან, სხვა ვარსკვლავების სისტემებიდან ჩამოვიდნენ.

ასე, მაგ., ვედების მიხედვით, პირველი მოსახლეობა დედამიწაზე 200 მლნ. წლის წინ გამოჩნდა და ეს თეთრი რასა იყო.

რაც შეეხება, კონკრეტულად ევროპეიდულ რასის წარმომადგენლებს, ისინი პლანეტაზე 458 508 წლის წინ გამოჩნდნენ.

P. S. თუ „დაბადებაში“ აღწერილ მოვლენებს უფრო გლობალური მასშტაბით განვიხილავთ, ანუ ჩავთვლით, რომ მასში აღწერილი პროცესები დედამიწის პარალელურას, სხვა პლანეტებზე, სხვა გალაკტიკებშიც მიმდინარეობდა, მაშინ არც ზემოთ ხსენებული ალტერნატიული ვერსია არის ჭეშმარიტებას მოკლებული.

intermedia.ge



გვგონია, რომ ადგილზე ვდგავართ, სინამდვილეში, 108 000 კმ/სთ სიჩქარით ვმოძრაობთ – 10 ნაკლებად ცნობილი ფაქტი დედამიწის შესახებ



დღეს კაცობრიობა აქტიურად ეძებს სხვა სამყაროებს. მაგრამ, ყველაფერი ვიცით იმ პლანეტის შესახებ, რომელზეც ვცხოვრობთ? მაგ., იცით, რომ ჟანგბადს, რომელსაც მოვიხმართ, მსოფლიო ოკეანე გვაწვდის და არა ტროპიკული ტყეები? ან, რომ სიარული ქვებსაც შეუძლია?

I. გვგონია, რომ ადგილზე ვდგავართ – მაგრამ სინამდვილეში, «ხომალდში» ვიმყოფებით, რომელიც კოსმოსში, საშუალოდ, 180 000 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს (დედამიწის მზის ორბიტაზე მოძრაობის სიჩქარე – 30 კმ/წმ-ია. წუთში 1 800 კმ-ს გადის, ხოლო საათში – 108 000 კმ-ს). და ეს ყველაფერი არ არის! თავის მხრივ, მზეც მოძრაობს გალაქტიკაში 230 კმ/წმ (828 000 კმ/სთ) სიჩქარით და მასთან ერთად მოძრაობენ მზის სისტემის პლანეტებიც. რაც იმას ნიშნავს, რომ 1 სთ-ში, დაახლოებით 1 მლნ. კმ-ს გავდივართ.

II. დედამიწის მიზიდულობის ძალა ეკვატორზე უფრო ნაკლებია, ვიდრე პოლუსებზე. ამიტომ, ადამიანი ეკვატორზე 0, 5% ნაკლებს იწონის. მაგ., თუ ადამიანის წონა პოლუსზე 68, 4 კგ-ია, ეკვატორზე ის 400 გრამით ნაკლები იქნება.

III. დედამიწას მეორე თანამგზავრიც ჰყავდა! – მთვარე №2, რომლის დიამეტრი, დაახლოებით, 1 200 კმ იყო. მაგრამ, მისი „სიცოცხლე“ ტრაგიკულად დასრულდა – ის მთვარეს დაეჯახა.

IV. ყველაზე დიდი ცოცხალი სტრუქტურა დედამიწაზე – მარჯნის რიფია. ავსტრალიის სანაპიროსთან მდებარე დიდი ბარიერული რიფი კოსმოსიდანაც კი ჩანს.

V. დღეს სიცოცხლე, ჩვენს პლანეტაზე, უმეტეს შემთხვევაში, – მწვანეა. მაგრამ, დედამიწის განვითარების ისტორიაში იყო დრო, როდესაც პლანეტის მცენარეული საფარი, ძირითადად, იისფერი იყო! იმ დროს, მცენარეები მზის ენერგიის გარდასაქმნელად, ქლოროფილის ნაცვლად რეტინალის მოლეკულებს იყენებდნენ, რომელიც მწვანე ფერს შთანთქავს და იისფერს აირეკლავს.

VI. დედამიწის ზედაპირის ფართობის 70% მსოფლიო ოკეანეს უკავია და მისი მხოლოდ 5%-ია შესწავლილი. ე. ი. პლანეტის წყლის მასის 95 პროცენტი არავის და არასდროს უნახავს.

VII. წყნარი ოკეანე – ყველაზე დიდი ოკეანეა დედამიწაზე. მისი ფართობი 155 მლნ. კვ. კმ-ია და ის დედამიწის ზედაპირზე არსებული წყლების ნახევარს მოიცავს. წყნარი ოკეანე იმდენად დიდია, რომ მას დედამიწის ყველა კონტინენტი ერთდროულად დატევა შეუძლია.

VIII. თეორიულად, სათბური ეფექტის გარეშე, დედამიწის საშუალო ტემპერატურა -18-დან -23°C-მდე იქნებოდა... და იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა ის +14,8°C-ის ტოლია, ამ თერმული იზოლაციის ეფექტის გარეშე, სავარაუდოდ, დედამიწაზე სიცოცხლე არ იქნებოდა.

IX. როგორც კი, დღეს არსებულთან შედარებით, მზის სხივი 10 % გაძლიერდება, პლანეტის საშუალო ტემპერატურა 47°C-მდე გაიზრდება და ოკეანეები აორთქლდება. ბრენდონ კარტერის (Brandon Carter) სამყაროს დასასრულის თეორიის მიხედვით, ეს დაახლოებით, 10 ათასი წლის შემდეგ მოხდება და იმ დროისთვის, კაცობრიობის დაღუპვის ალბათობა, 95%-ს შეადგენს.

X. დედამიწის ზედაპირიდან 9 კმ. სიმაღლეზე, ადამიანის სუნთქვა შეუძლებელი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით, 115 კმ სიმაღლეზე, ატმოსფერო ჟანგბადს შეიცავს. 19-20 კმ-ზე კი, ატმოსფეროს წნევა იმდენად დაბალია, რომ წყლის ადუღება შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰერმეტული დაცვის გარეშე, ამ სიმაღლეზე ადამიანი მომენტალურად დაიღუპება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამგზავრო თვითმფრინავების ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 12 კმ-ია.

intermedia.ge

დედამიწის 4 ძირითადი საიდუმლო, რომელიც ჯერ-ჯეროობით ამოხსნილი არ არის

დიდი ბრიტანეთის გეოლოგებმა ჩვენი პლანეტის ჯერ-ჯეროობით ამოუხსნელი ძირითადი გამოცანები დაასახელეს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებს მოსვენებას არ აძლევს. ძირითადი კითხვა, რომელზეც ჯერ ზუსტი პასუხი არ არსებობს, სულ ოთხია:

მაგ., მეცნიერებმა აქამდე არ იციან, როგორ გაჩნდა წყალი დედამიწაზე. ცნობილია, რომ პლანეტის განვითარების ადრეულ სტადიაზე, ანუ 4, 5 მლრდ. წლის წინ, როდესაც დედამიწის ფორმირება მოხდა, წყალი მასზე, პრაქტიკულად, არ იყო. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე საბაზო თეორია, რომელიც პლანეტაზე წყლის გაჩენას ხსნის, მაგრამ მათ შორის, რომელიმეს არჩევა, დღემდე ვერ მოხერხდა.

სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – ეს ტექტონიკური ფილების გადაადგილების მექანიზმი არის. ამ საიდუმლოს ამოხსნა შესაძლებელი იქნებოდა, დედამიწის პირველი ქანების ნიმუშების არსებობის შემთხვევაში. თუმცა, ის მილიარდობით წლის წინ გაქრა. დღეს გეოლოგებს ძველი მინერალების მხოლოდ რამდენიმე მარცვალი აქვთ, რომელიც 2001 წელს ავსტრალიაში აღმოჩინეს.

როდესაც დედამიწის გამოცანებზე ვსაუბრობთ, ასევე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, პლანეტაზე სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლო. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე კოსმოსიდან ჩამოვარდნილმა ციურმა სხეულმა შემოიტანა. მაგრამ, ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

ოთხიდან, ბოლო საიდუმლო კი, დედამიწაზე ჟანგბადის გაჩენის პროცესი არის, რომელმაც თავის მხრივ, რთული ორგანიზმების განვითარება გამოიწვია. ითვლება, რომ ჟანგბადის გაჩენა პლანეტაზე ციანობაქტერიებს უკავშირდება... მაგრამ, მეცნიერების თქმით, არსებობს რამდენიმე ნიუანსი, რომელიც მიუთითებს, რომ ყველაფერი ასე მარტივადაც არ არის.

მითიური არსებები, რომლებიც რეალურად არსებობდნენ

მითები – ისტორიებია, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, რეალობას არ შეესაბამება. ეს არის ძველი ხალხების მიერ დატოვილი ამბები, რომლითაც ისინი ამა თუ იმ მოვლენის ახსნას ცდილობდნენ. ჩვენ, დღეს, ასეთი რაღაცეების აღარ გვჯერა და რადგან მაღალტექნოლოგიურ გარემოში ვცხოვრობთ, ადვილია ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა...

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველების შესახებ, ზოგიერთი მითი, მთლიანად მოგონილი არ არის და ნაწილობრივ, სიმართლეს შეესაბამება – მითებში აღწერილი ზოგი ცხოველი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში არ გვხვდება, შესაძლებელია, წარსულში მართლაც არსებობდნენ და არც ის არის გამორიცხული, რომ სადღაც დღესაც იყვნენ...

კრაკენი – გიგანტური ზღვის ურჩხული

მითოლოგიური კრაკენი, საუკუნეების მანძილზე, მეზღვაურების ნამდვილი რისხვა იყო. ამბობდნენ, რომ ამ ცხოველს ძალიან გრძელი საცეცეები ჰქონდა და მას ოკეანის სიღრმეში მთელი გემის ჩათრევა შეეძლო. დღეს მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ლეგენდებს საფუძვლს, სავსებით რეალური არსება – გიგანტური კალმარი (კალმარი-არქიტეუტისი (ლათ. რცჰიტეუტჰის)) წარმოადგენს, რომელიც ოკეანის სიღრმეში დღესაც ბინადრობს და მისი სიგრძე არაერთი ათეული მეტრია. თუმცა, მის რაციონში გემები და მეზღვაურები ნამდვილად არ უნდა შედიოდეს.

ყველაზე დიდი კალმარი, რომლის სიგრძე, საცეცეებიანად, 17 მ-ს აღემატებოდა, 1887 წ. ახალი ზელანდიის სანაპიროზე იპოვეს. რაც შეეხება მასას, 2007 წელს აღმოჩენილი კალმარი, რომლის სიგრძე 9 მ-ი იყო, 495 კგ. იწონიდა.

ბუნიპი

ბუნიპი – ავსტრალიური მითოსის გმირია, რომელიც გადმოცემის თანახმად, ჭაობებში და წყალსაცავების მახლობლად ბინადრობდა, საშინელ ხმებს გამოსცემდა და ადამიანებზე ნადირობდა. გარეგნობით, ეს მითიური არსება, რაღაც საშუალო იყო, ცხენსა და ნიანგს შორის.

მართალია, მისი კამერაზე აღბეჭდვა ვერავინ შეძლო... მაგრამ ამბობენ, რომ ის ასობით ადამიანს ჰყავს ნანახი. 1839 წელს ავსტრალიაში ცხოველის ნეშთი აღმოაჩინეს, რომელიც რაღაცით, ავსტრალიის ყველაზე დიდი ზომის ჩანთოსან ცხოველს – დიპროტროდონს ჰგავდა. თუმცა, მას უფრო მოკრძალებული ზომა ჰქონდა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ოდესღაც, კონტინენტზე მართლაც ბინადრობდა მარტორქას ხელა ჩანთოსანი ცხოველი, რომელიც ბალახით იკვებებოდა.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ დღეს ამ ცხოველების რაიმე სახის პოპულაცია არსებობდეს, რადგან დიპროტროდონები 20 000-40 000 წლის წინ ამოწყდნენ. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ლეგენდები ამ ცხოველების და მათი ადამიანებთან შეხვედრის შესახებ, რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული.

ჰოგვორტსის დრაკორექსი

რასაკვირველია, ამ დრაკონზე დეფფალი არასდროს მჯდარა. თუმცა, შუა საუკუნეების რაინდისთვის პაჩიცეფალოსაურის ფოტოს ჩვენების საშუალება რომ იყოს, სავარაუდოდ იტყოდა, რომ ის ნამდვილი დრაკონი იყო. ხოლო, დინოზავრის სახელი, როგორც «ჰოგვორტსის დრაკონების მეფე» ითარგმნება.

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ლეგენდები ცეცხლისმფრქვეველი დრაკონების შესახებ, დინოზავრის ძვლის აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა.

გრიფინი – არწივი ან ლომი

მითოლოგიურ გრიფინს სხეულის ერთი ნაწილი არწივის აქვს, ხოლო მეორე – ლომის. ლეგენდები, ამ ცხოველების შესახებ, როგორც ჩრდილოეთის ხალხების თქმულებებში, ისე ძველ საბერძნეთში, სპარსეთში, ეგვიპტეში და შუა საუკუნეების ევროპაში გვხვდება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომლის ასაკი, თითქმის, 2000 წელს ითვლის, გრიფინები ოქროს ქვიშების სიახლოვეს, გობის უდაბნოში ბინადრობდნენ და ძვირფას ლითონს ამბიციური ოქროს მაძიებლებისგან იცავდნენ.

როგორც პალეონტოლოგები ამტკიცებენ, ეს რეგიონი, ადრე მართლაც იყო პროტოცერატოპების (დინოზავრები, რომლებსაც მოკაუჭებული ნისკარტები ჰქონდათ) გავრცელების არეალი და სავსებით შესაძლებელია, რომ ოქროს მაძიებლებმა, თავადვე მოიგონეს საშინელი ისტორიები გრიფინის შესახებ.

ამრიგად, ამჟამად, არსებობს იმის დაშვების შესაძლებლობა, რომ ზოგიერთ მითიურ არსებას, მართლაც ჰყოლოდა წარსულში რეალური პროტოტიპი... და ვინ იცის, კიდევ რას აღმოაჩენენ პალეონტოლოგები და არქეოლოგები.

კუნძულ კომოდოს ვარანი

განამარხებული ძვლები და ნეშთები მხედველობაში რომ არ მივიღოთ, არსებობს ალბათობა, რომ შუა საუკუნეებში, ადამიანები ხვლიკს ნამდვილად შეხვედროდნენ. ამ ვარანების სიგრძე, საშუალოდ, 3 მ-ი, ხოლო წონა 120 კგ. შეიძლება იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში დრაკონი, აუცილებლად გიგანტური ზომის არ უნდა ყოფილიყო. მაგ., რაფაელის ცნობილ ტილოზე – „წმინდა გიორგი და დრაკონი“, ცხოველი ლომზე დიდი არ არის – რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის, კუნძულის ნამდვილი „გველეშაპისგან“, არც ისე შორს არის.

intermedia.ge

რამდენით და ვის ან რის ხარჯზე გამდიდრდნენ კომერციული ბანკები?

საბანკო სექტორის ერთი წელი... მკვეთრად გაზრდილი შემოსავლები და მოგების რეკორდული ნიშნული... დეპოზიტებისა და საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და საპროცენტო განაკვეთები... კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტები...

წესია ასეთი, დანაპირებს შესრულება უნდა... მახსოვს, იანვრის მეორე დეკადის დასაწყისში, გასული წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების შეჯამებისას, დავაანონსე, რომ ერთ-ერთი მორიგი სტატიით კომერციული საბანკო სექტორის ერთი წლის თავგადასავალს გიამბობდით. ერთი სიტყვით, პროლოგი რომ აღარ გამიგრძელდეს, პირდაპირ საქმეზე გადავალ და მომდევნო სტრიქონებით პირობის შესრულებას შევუდგები..თანმიმდევრულად მივყვეთ. ვიდრე თქვენს ყურადღებას ცალკეულ პარამეტრებზე გავამახვილებ, გეტყვით, რომ მიმდინარე წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ქვეყნის საბანკოსექტორის აქტივებმა 60 მილიარდ ლარს 568 მილიონი ლარით გადააჭარბა. გასული წლის ბოლო თვეში საბანკო აქტივები ერთი მილიარდი ლარით გაიზარდა...

წლის ბოლოს კომერციული ბანკები რეკორდულ მოგებაზე გავლენ, – ასეთი იყო საბანკო სფეროს ექსპერტებისა და ანალიტიკოსების პროგნოზი. უნდა ითქვას, გასული წლის მეორე კვარტლის მიწურულს გამოიკვეთა, რომ ეს ვარაუდი რეალისტური იყო. საბოლოოდ ექსპერტ ანალიტიკოსთა მოლოდინი გამართლდა...

კომერციულმა ბანკმა ჯამურად 2.08 მილიარდ ლარზე მეტი წმინდა მოგება მიიღო, რაც თითქმის ოცდაერთჯერ აღემატება წინა წლის შედეგს... მეტიც, ეს რეკორდული მაჩვენებელია... რა გასაკვირია, 2020 წელს ქვეყანაში ჩVI-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი იყო, რაც კომერციული ბანკების შემოსავლებსა და მოგებაზე ნეგატიურად აისახა„– ბრძანებს მკითხველი და სავარაუდოდ, დაინტერესდება, როგორია გასული წლის მონაცემების შეფარდება 2019 წლის ანუ პანდემიამდე პერიოდის მაჩვენებელთან. რა გაეწყობა, მკითხველის ინტერესს გავითვალისწინებ და აქამდე ნათქვამს დავსძენ, რომ კომერციული ბანკების 2021 წლის მოგება 2019 წლის მაჩვენებელზე – 953,635 მილიონ ლარზე ორჯერ მეტია კომერციული ბანკების პანდემიური, 2020 წლის მოგების მაჩვენებელმა სულ 99.26 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 89.6 პროცენტით ნაკლები იყო. ასე რომ, 2019-2020 წლებში კომერციული საბანკო სექტორის ჯამური წმინდა მოგება 1.05 მილიარდ ლარს უმნიშვნელოდ აღემატებოდა. შესაბამისად გასული წლის მოგება წინა ორი წლის მოგების ჯამურ მაჩვენებელს 1.03 მილიარდი ლარით აჭარბებს.

საინტერესოა, როგორი იყო საბანკო სექტორის მოგება თვეების მიხედვით. ყველაზე მცირე მოცულობის მოგება კომერციულმა ბანკებმა წლის პირველ და ბოლო თვეში მიიღეს, შესაბამისად, იანვარში 113,3 მილიონი ლარისა და დეკემბერში 111,9 მილიონი ლარის ოდენობით. ყველაზე უხვი ივნისის თვე გამოდგა, როდესაც საბანკო სექტორის მოგება 294,6 მილიონ ლარს გაუტოლდა. მოგების მოცულობის სიდიდით მომდევნო პოზიცია აგვისტოს უკავია 233,1 მილიონი ლარით. პირველ სამეულშია ნოემბერი, როდესაც კომერციული ბანკების მოგებამ 209,2 მილიონი ლარი შეადგინა. სხვა თვეებში კი საბანკო სექტორის მოგების მოცულობა ასე გამოიყურება: თებერვალი – 132,1 მილიონი ლარი; მარტი – 166,3 მილიონი ლარი; აპრილი – 173 მილიონი ლარი; მაისი – 204 მილიონი ლარი; ივლისი – 177,9 მილიონი ლარი. სექტემბერი – 171,1 მილიონი ლარი და ბოლოს ოქტომბერი – 117,5 მილიონი ლარი.

რამ განაპირობა კომერციული ბანკების რეკორდული მოგება?.. არახალია, უკვე მრავალი წელია ასეა, საბანკო საქმე ერთ-ერთი ყველაზე სარფიანია, – ბრძანებს მკითხველი და მართალიც იქნება, თუმცა დასმულ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. საკმარისია, გადავხედოთ ეროვნული ბანკის სტატისტიკურ მონაცემებს და შევადაროთ წინა წლის მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც სესხებიდან, ასევე სხვა ფინანსური ოპერაციებიდან და საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლები, კერძოდ: ფიზიკური პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2,48 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდა 21 პროცენტია; იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტებიდან შემოსავლები წინა წელთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა და 1, 67 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ასე რომ კომერციული ბანკების შემოსავლები მხოლოდ საკრედიტო პოლიტიკით თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა, რაც თანხობრივად 4,15 მილიარდი ლარია. ვალუტის კონვერტაციიდან საბანკო სექტორმა 301,2 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს. ზრდის მაჩვენებელი 1,459 პროცენტია. ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლები – 73,6 მილიონი ლარია, რაც წინა წლის მაჩვენებელს 32 პროცენტით აჭარბებს.

ორიოდე სიტყვა კომერციული ბანკების ხარჯებზეც ვთქვათ. ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა და საბანკო სექტორის მიერ მისი კრედიტების მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა ორ მილიარდ ლარს გადააჭარბა...

საბანკო დეპოზიტები ვახსენე და ურიგო არ იქნება, დავინტერესდეთ, გასულ წელს როგორი იყო საბანკო სისტემაში არსებული დეპოზიტების მოცულობა. ინფორმაციის მოძიება მარტივია. კობა გვენეტაძის უწყების მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გასული წლის პირველ დეკემბერთან შედარებით კომერციულ ბანკებში დეპოზიტების საერთო მოცულობა 1,4 მილიარდი ლარით, 3,92 პროცენტით გაიზარდა და 37,161,246,000 ლარს შეადგენდა.

მომდევნო საკითხი, რაზეც მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ, უცხოურ ვალუტასა და ლარში არსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებია. უცხოურ ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ბანკების დიდმა ნაწილმა სარგებელი შეამცირა. კი, მაგრამ, რატომ, სესხებზე პროცენტებს ხომ ზრდიან? – ბრძანებს მკითხველი გაბრაზებული ტონით და მართალიც იქნება. საბანკო სფეროს სპეციალისტები უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებზე სარგებელის შემცირების მიზეზად ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივებს ასახელებენ. ანუ? – ჩამეძიება მკითხველი და რა გაეწყობა, განვმარტავ, უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე მოთხოვნილი რეზერვის ნორმა ლარის რესურსთან შედარებით გაცილებით მაღალია...

ასეა თუ ისე, ფაქტია, გასულ წელს კომერციული ბანკების დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთებმა 4,9 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 5,2 პროცენტი იყო.

უცხოური ვალუტით გაცემული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი გასულ წელს საშუალოდ 2,1 პროცენტამდე შემცირდა. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 2,8 პროცენტი იყო. როგორი იყო უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებზე სარგებლის ცვლილების დინამიკა? გასული წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის სარგებელმა 2,3 პროცენტი შეადგინა, მეორე კვარტალში – 2,1 პროცენტი, მესამე კვარტალში – 1,9 პროცენტი, ხოლო მეოთხე კვარტალში – 1,7 პროცენტი.

ეროვნული ვალუტით გაცემული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები საანგარიშო პერიოდში საშუალოდ წლიურად 9.4 პროცენტიდან 9,8 პროცენტამდე გაიზარდა. პირველ კვარტალში სარგებლის საპროცენტო განაკვეთი 9,3 პროცენტი იყო. მეორე კვარტალში – 9,7 პროცენტი, მესამე კვარტალში – 10,2 პროცენტი. მეოთხე კვარტალში კი – 10,5 პროცენტი.

დარწმუნებული ვარ, მკითხველს ყველაზე მეტად კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და სხვადასხვა ტიპის სესხებზე დანესებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების დინამიკა აინტერესებს. თანმიმდევრულად მივყვეთ...

გასული წლის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა ყველაზე მეტი მოცულობით, 6,24 მლრდ ლარით სამრეწველო სექტორი დააკრედიტეს საპროცენტო განაკვეთმა ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე 13,58 პროცენტი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე 6,72 პროცენტი შეადგინა.

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში დაკრედიტების მოცულობის სიდიდით მომდევნო ადგილი სავაჭრო სექტორს უკავია. შარშან ვაჭრობა საბანკო სექტორმა 5,79 მილიარდი ლარით დააკრედიტა. საპროცენტო განაკვეთმა ლარში გაცემულ სესხებზე 13,24 პროცენტი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე 6,49 პროცენტი შეადგინა. კრედიტების მოცულობითპირველ სამეულშია მშენებლობის სექტორი, რომელიც გასული წლის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა 2,926 მილიარდი ლარით დააკრედიტეს. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 13,39 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტის სესხებზე 7,2 პროცენტი იყო... და ბოლოს, გასული წლის განმავლობაში საბანკო სექტორმა რეზიდენტ იურიდიულ პირებზე სულ 21 მილიარდი ლარის კრედიტი გასცეს, მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში10,6 მილიარდი ლარი, ხოლო ამერიკულ დოლარში 10,4 მილიარდი ლარის ექვივალენტის.

საანგარიშო პერიოდში კრედიტის საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 10,8 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი 10,5 პროცენტი იყო. უნდა ითქვას, რომ გაიზარდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები... კერძოდ, 15,3 პროცენტიდან 15,5 პროცენტამდე. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი შარშან საშუალოდ 6,7 პროცენტამდე შემცირდა. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 6,9 პროცენტი იყო.

ვნახოთ, გასული წლის განმავლობაში როგორ იცვლებოდა საპროცენტო განაკვეთი... უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს, საპროცენტო განაკვეთი პირველი კვარტლის ბოლოს 6,9 პროცენტი იყო, მეორე კვარტალში – 6,7 პროცენტი, მესამე კვარტალში – 6,6 პროცენტი, ხოლო მეოთხე კვარტალში – 6,5 პროცენტი. ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი პირველ კვარტალში 15,2 პროცენტს შეადგენდა, მეორე კვარტალში – 15,4 პროცენტს, მესამე კვარტალში – 15,6 პროცენტს, მეოთხე კვარტალში – 15,7 პროცენტს.

დასკვნის სახით, სტატისტიკური მონაცემების ზედაპირული ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ეროვნულ ვალუტაში ნომინირებულ დეპოზიტებსა და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი შემცირდა... ამასობაში, საბანკო სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში თანდათან შემცირდა უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების ტემპი... რატომ? როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, მთავარი მიზეზი ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შეზღუდვა, რომლითაც უცხოურ ვალუტაში გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ვადა 15 წლიდან 10 წლამდე შემცირდა... ანალიტიკოსების შეფასებით, კობა გვენეტაძის უწყების ეს გადაწყვეტილება კომერციული ბანკების მიმდინარე წლის საკრედიტო პორტფელზე აისახება... მათი თქმით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა შემცირდება, ხოლო ლარში დაკრედიტების ტემპი გაიზრდება. რამდენად გამართლდება ეს პროგნოზი დრო გვიჩვენებს, მალევე გაირკვევა რა გავლენა ექნება საბანკო სისტემის საკრედიტო პოლიტიკაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას...

სამსონ ხონელი

ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვის რეალური მიზეზი

უმრავლესობისთვის ჯორდანო ბრუნო იყო ადამიანი, რომელმაც თავი იდეებს, მეცნიერებას შესწირა და რომ ის, სიკვდილის წინ, ყველაფრის მიუხედავად, ჯიუტად იმეორებდა: «და ის მაინც ტრიალებსო!»...

სინამდვილეში, ჯორდანო ბრუნო აღორძინების ეპოქის ყველაზე დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, პოეტი, არაერთი წიგნის და ტრაქტატის ავტორი იყო.

ფილიპო ბრუნო 1548 წ. ნეაპოლის მახლობლად, ნოლას კომუნაში დაიბადა, დაქირავებული ჯარისკაცის, ჯოვანი ბრუნოს ოჯახში. 11 წლის ასაკში ის ნეაპოლში გაგზავნეს ლიტერატურის, ლოგიკის და დიალექტიკის შესასწავლად. 15 წლის იყო, წმ. დომინიკის მონასტერში რომ ჩააბარა. იქ 10 წელი გაატარა, ბერად აღიკვეცა და მეორე სახელი – ჯორდანო მიიღო.

1572 წელს 24-წლის ჯორდანო მღვდელი გახდა. მაგრამ, 1575 წელს, საეკლესიო მსახურების დროს, თამამი აზრების გამოთქმის გამო, სასულიერო პირებმა ეჭვი შეიტანეს, რომ ის აკრძალულ წიგნებს კითხულობდა და ერესში დაადანაშაულეს.

ამის გამო, ახალგაზრდა მღვდელი იძულებული გახდა, იტალიიდან გაქცეულიყო. 17 წლის მანძილზე ბრუნო ევროპაში (შვეიცარია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) მოგზაურობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, – წერდა წიგნებს, ლექციებს კითხულობდა და საგანმანათლებო საქმიანობას ეწეოდა.

ბრუნო თავის გამოსვლებში კატეგორიულად უპირისპირდებოდა კათოლიკურ ეკლესიას და იმ დროს არსებულ ყველა რელიგიას. ის თვლიდა და ხმამაღლა აცხადებდა, რომ რელიგია მეცნიერების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი იყო. 1584 წელს ლონდონში გამოვიდა მისი მორიგი წიგნი – „სამყაროების უასრულობის შესახებ“, რომელსაც მკვლევარების ერთი ნაწილი თანამედროვე მატერიალისტური ბუნებისმეტყველების საფუძვლად მიიჩნევს. მასში მოცემულია ინფორმაცია მატერიალური სამყაროს, სივრცის და დროის ერთობლიობის შესახებ. გარდა ამისა, წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ მზის და მის ირგვლივ მოძრავი პლანეტების გარდა, სამყაროში სხვა ვარსკვლავების სისტემებიც არსებობს და მათი რაოდენობა, შეიძლება, «უსასრულო იყოს».

ბრუნო თვლიდა, რომ დედამიწა არ არის გაყინული, სტატიკური „შექმნის აქტი“ და რომ ის, მუდმივად განიცდის ცვლილებას, სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით: „ზღვა კონტინენტად გარდაიქმნება, კონტინენტი – ზღვად“ – წერდა ის.

იდეას სამყაროს სივრცის უსასრულობის შესახებ, ბრუნო დიდი მონდომებით იცავდა საკუთარი ბრალმდებლების წინაშეც და არ თვლიდა, რომ მისი წარმოდგენა საკითხთან დაკავშირებით, ერეტიკული იყო! ბრუნოსთვის ის ფილოსოფიიას წარმოადგენდა, რასთანაც დაპირისპირება, თვით ჭეშმარიტ რწმენასაც არ შეეძლო. ბრუნოს ამგვარ სიჯიუტე მხოლოდ იდეისადმი ერთგულება კი არა, გარკვეულწილად, თავდაცვის მექანიზმიც იყო. ინკვიზიცია ფილოსოფოსებს შედარებით რბილად ექცეოდა. მაგ., ჯიროლამო ბორი ერთი წელი იჯდა ციხეში, აკრძალული წიგნების შენახვისა და სულის მოკვდავობის სწავლების გამო. მაგრამ, შემდეგ გაათავისუფლეს; ინკვიზიციამ დაჰკითხა ფილოსოფოსი ფრაანჩესკო პატრიციც. მაგრამ, არ დაუკავებია და რომის უნივერსიტეტში ლექციების ჩატარების უფლებაც კი მისცა. იყო სხვა ფქტებიც...

მაგრამ, ჯორდანო ბრუნოს ინკვიზიცია ფილოსოფოსად კი არა, კათოლიკე ბერად მიიჩნევდა, რომელმაც უარი თქვა რწმენაზე და მას ბევრად უფრო მკაცრად მოექცა. მისი შრომების შესწავლის შემდეგ, 1599 წლის 14 იანვარს, სასამართლოზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა სია, რომელიც 8 ერეტიკულ მტკიცებულებას შეიცავდა. ბრუნოს მოსთხოვეს, რომ გაშვების სანაცვლოდ, უარი ეთქვა მათზე. კონკრეტულად რა ეწერა სიაში, ცნობილი არ არის. მაგრამ ცნობილია, რომ ბრუნომ ინკვიზიციის წინადადება არ მიიღო. იმავე წლის აპრილში და დეკემბერში ისევ მიმართეს ბრუნოს ანალოგიური წინადადებით – და მან ისევ განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს და რომ „მოსანანიებელი არაფერი აქვს“. ბოლო შეხვედრის შემდეგ, ჯ. ბრუნოს წიგნები აკრძალეს, ხოლო თავად მეცნიერი, როგორც ერეტიკოსი, ისე გაასამართლეს.

სწორედ იდეების და ეკლესიასთან დაპირისპირების გამო დასაჯეს სიკვდილით ჯორდანო ბრუნო და არა იმიტომ, რომ თითქოს ამტკიცებდა, დედამიწა ბრუნავსო. ეკლესიისთვის მიუღებელი იყო მზის სისტემის გარდა, სხვა ვარსკვლავების არსებობა და ამის გამო, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერმა 17 წელი დევნილობაში და 7 წელი ციხეში გაატარა, ხოლო შემდეგ, რომის ცენტრში, კამპო დეი ფიორის მოედანზე, დაწვეს.

2002 წელს რომის პაპმა, იოან პავლე II რომის კათოლიკური ეკლესიის სახელით, საჯაროდ მოიხადა ბოდიში, ინკვიზიციის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამო. რაც შეეხება ჯორდანო ბრუნოს, იმ ადგილზე, სადაც ის სიკვდილით დასაჯეს, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, მისი ძეგლი აღმართეს.

intermedia.ge

ნანი ღონიაშვილის ხსოვნისადმი

ნანი ღონიაშვილის სახელს კარგად იცნობს ჩემი თაობა. იგი დაიბადა და გაიზარდა ჩვენს მშობლიურ ქალაქში. საოცრად შრომისმოყვარე, სამართლიანი და ყველასათვის საიმედო. საიმედო ადამიანები იყვნენ ნანის მშობლებიც, რომლებმაც ღირსეულად აღზარდეს სამი შვილი: ერთი გოგონა და ორი ვაჟკაცი.

სწორედ აქ, ოჯახში შეითვისა მან ერთი უდიდესი ჭეშმარიტება: რისი სპეციალისტიც ხარ, უნდა ერთგულად ემსახურებოდე შენს მიერ არჩეულ საქმეს. შემდეგ კი როცა გაიზარდა, როცა შეიყვარა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები, გონებაში ჩაიბეჭდა პროზაიკოსის ნათქვამი: „შრომა ამქვეყნად უდიდესი სიქველეა და ისე არაფერი ამშვენებს ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“. იქნებ ამიტომაც იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სადაც კი მუშაობდა, ყველგან გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და ერთგულებით.

ნანი გავიცანი მაშინ, როცა იგი მუშაობდა განათლების სამინისტროში კერძოდ, – კადრების სამმართველოში. მას გამორჩევით უყვარდა ყვარელი და ყვარლელები, ყველას გვეიმედებოდა იგი.

ყვარლის განათლების განყოფილების გამგე აწ გარდაცვლილი დავით ლაფაჩიშვილი იტყოდა ხოლმე: იმიტომაც მიყვარს განათლების სამინისტროში ჩასვლა, რომ ხშირად ვისმენ ნანი ღონიაშვილის ქებასო.

განათლების მინისტრები იცვლებოდნენ, მაგრამ ნანი, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი, ყოველთვის ხელშეუხებელი იყო.

ნანი სულ ახლახან გახდა 70 წლის. ამ ასაკშიც საკმაოდ ენერგიული იყო. აქტიურად მოღვაწეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებში, წერდა პროექტებს, რომლებიც საკმაოდ წარმატებული იყო.

სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს თავის დროზე ჰყავდა თაყვანისმცემლები, მაგრამ ოჯახის შექმნა ვერ გაბედა, ალბათ ესეც უფლის ნება იყო. შემდეგ კი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ძმისშვილები იგივე ჩემი შვილები არიანო. ნათქვამის სიმართლეში დავწმუნდი მაშინ, როცა საკმაოდ დიდი ხნის წინ დაესწრო ყვარლის განათლების განყოფილების მიერ ჩატარებულ სარვამარტო კაფე ღონისძიებას. იქ ერთი შესანიშნავი ლექსი წაიკითხა, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„თქვენ დაგრჩებათ ჩემი სამოთხის ბაღი,
და ჩემი თეთრი ქრიზანთემები,
მე სადმე ლოცვებით დაღლილს,
გულზე მეყაროს მიწა ყვარელის“.

როცა ხუმრობით შევეკითხე ვისზე ლოცულობო, პასუხი ასეთი იყო:ძმისშვილებზეო.

ჩვენო ნანი, შენმა ძმამ და ძმისშვილებმა შეგისრულეს სურვილი. ყვარლის მშობლიურ მიწას მიგაბარეს ამაგიანი მამიდა. დაე, მსუბუქი იყოს ეს მიწა შენთვის. დაე, იქიდან ილოცე შენი საყვარელი ადამიანებისათვის.

ჩვენ, კი რაღა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ზოგჯერ მაინც გაგიწანდილოთ მცირე ხორბალი მართალი სულის გადასარჩენად.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

ხილსა და ბოსტნეულში შემავალი ძირითადი საკვები მჟავები

საკვები მჟავების ძირითად წყაროს მცენარეული ნედლეული და მათი გადამუშავების პროდუქტები წარმოადგენენ. ორგანული საკვები მჟავები წარმოადგენენ მცენარეული პროდუქტების – კენკროვნები, ხილი, ბოსტნეულის შემადგენელ ნაწილს.

ხილსა და კენკროვნებში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ლიმონისა და ვაშლის მჟავებს. სხვა მჟავებიდან კი – ქინის, ქარვისა და მჟაუმჟავას. საკმაოდ გავრცელებულია გლიკოლის, ფუმარის, გლიცერინისა და ღვინის მჟავები. საკვები მჟავების კონცენტრაცია სხვადასხვა ნედლეულში საკმაოდ განსხვავებულია.

ციტრუსები ძირითადად შეიცავენ ლიმონის მჟავას და მცირე რაოდენობით ვაშლის მჟავას, მისი შემცველობა ფორთოხალში საერთო მჟავიანობის 10-25%, მანდარინში 20%-ზე ნაკლები, ლიმონში კი 5%-მდე.

ლიმონის მჟავის შემცველობა ანანასებში 85%-ს აღწევს, ვაშლისმჟავისა კი 10%-ს. კურკოვან და თესლოვან ხილში დომინირებულ მჟავას ვაშლისმჟავა წარმოადგენს. მისი რაოდენობა 50-90%-ის ფარგლებში მერყეობს.

ვაშლის მჟავე ჯიშებში, ვაშლისმჟავა საერთო მჟავიანობის შემცველობა 90%-ს შეადგენს, ბალსა და ალუბალში 85-90%, ქლიავში (სორტზე დამოკიდებულებით) 35-90%.

ატამსა და გარგარში მჟავიანობის 90% მოდის ლიმონის, ვაშლისა და ქინის მჟავებზე. ამასთან ლიმონისა და ვაშლის მჟავების თანაფარდობა საკმაოდ დიდ საზღვრებში იცვლება და დამოკიდებულია სიმწიფის ხარისხზე. დადგენილია, რომ დამწიფების სტადიაში ატამში ვაშლის მჟავის შემცველობა მატულობს, ხოლო ლიმონისა კი კლებულობს.

სხვა ხილისაგან განსხვავებით, ყურძნის ძირითადი მჟავა ღვინის მჟავაა და იგი საერთო მჟავიანობის 50-65%-ს შეადგენს. დანარჩენი მოდის ვაშლისმჟავასა (25-30%) და ლიმონმჟავაზე (10%-მდე). დამწიფების პროცესში ვაშლისმჟავის შემცველობა ბევრად უფრო სწრაფად კლებულობს ვიდრე ღვინისმჟავისა.

კენკროვნების უმეტესობაში, ყურძნისაგან განსხვავებით, ჭარბობს ლიმონმჟავა. მაგალითად ტყის მარწყვში მისი რაოდენობა საერთო მჟავიანობის 70-90% შეადგენს, მოცხარში – 85-90%. მაყვალში 65-85% წარმოდგენილია იზოლიმონის მჟავა.

ხილსა და ბოსტნეულში შემავალი ძირითადი საკვები მჟავები

ხილსა და ბოსტნეულში, მჟავების განსაზღვრული რაოდენობა შესაძლებელია იყოს მარილების სახით. სხვა ორგანული მჟავებისაგან განსხვავებით რძის მჟავა ხილსა და ბოსტნეულში ძირითადად წარმოიქმნება მიკრობიოლოგიური პროცესების შედეგად.

ბოსტნეულის მჟავიანობას განაპირობებენ ორგანული მჟავების საკმაოდ ფართო სპექტრი. ტომატების განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მის შემადგენლობაში არაორგანული მჟავების – ფოსფორის, გოგირდისა და მარილმჟავის არსებობა.

რძესა და რძის პროდუქტების ძირითად ორგანულ მჟავას რძის მჟავა წარმოადგენს, რომელიც წარმოიქმნება ლაქტოზის (რძის შაქრის) ბიოქიმიური გარდაქმნის საფუძველზე.

**ავტორები: დალი წულაია,
ეთერ სარჯველაძე
/სურსათის ქიმია/**

კალციუმი, D ვიტამინი, ომეგა-3, მულტივიტამინები და მულტიმინერალები – რა საფრთხე იმალება მათ მიღმა?

რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ორგანიზმს ვიტამინების თვითნებურად და ასევე მაღალი დოზების მიღებამ.

D ვიტამინი

დიდი რაოდენობით დანამატმა შეიძლება თირკმლის პრობლემები გამოიწვიოს.

D ვიტამინი ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში უწყობს ხელს და მისი ნორმალური რაოდენობა ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანია.

ის აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ძვალ-სახსროვან სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები.

როგორც ვიცით, მზის სხივები D ვიტამინის მიღების საუკეთესო საშუალებაა. ის ასევე გვხვდება სხვადასხვა საკვებ პროდუქტში.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პაციენტებს უწევთ ვიტამინის დანამატის სახით მიღება.

სხვადასხვა კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი ქალი, რომელიც ვიტამინის დაბალ დოზას ღებულობს (400 საერთაშორისო ერთეული) ნაკლებადაა ძვლის მოტეხილობისაგან დაცული.

ხოლო, მაღალი დოზის მიღების შემთხვევაში, კალციუმის ათვისება იზრდება, რაც განწყობის ცვლილებებს, მუცლისა და კუნთების ტკივილსა და თირკმელებში კენჭების გაჩენას იწვევს. ის, ასევე ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკ-ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ქალბატონები, რომლებიც 71 წელს ზემოთ არიან, ექიმის მიერ დანიშნულ მიკროელემენტის დანამატს აუცილებლად საჭიროებენ D ვიტამინის დეფიციტის აღსადგენად.

მათი დღიური ნორმა განისაზღვრება 800 საერთაშორისო ერთელით (სე), ხოლოდ 70 წლამდე ქალბატონებში დღიური ნორმაა 600 სე.

ექიმები მოგვიწოდებენ, რომ 10-15 წუთი გავატაროთ მზეზე და ყოველდღიური კვების რაციონი გავამდიდროთ შემდეგი საკვები პროდუქტებით:

- ორაგული;
- თინუსი;
- რძე;
- სოკო;
- ბურღულეული.

უფრთხილდით კალციუმს

კალციუმი აუცილებელი ელემენტია ჯანსაღი ძვლებისა და ჯანმრთელი გულისათვის, თუმცა მისი დიდი რაოდენობით მიღება საფრთხის შემცველია.

აშშ-ს ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის (NIH) მიხედვით, 19-დან-50 წლამდე მოზრდილებისათვის დღიურად კალციუმის 2500 მგ-ზე მეტი რაოდენობის მიღება, ხოლო 51 წელს ზემოთ პაციენტებისათვის – 2000 მგ-ზე მეტი, ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს.

მკვლევარების აზრით, არასაკმარისი D ვიტამინის შემთხვევაში, რომელიც კალციუმის ათვისებას უწყობს ხელს, Ca არა თუ ძვლებში შეინოვება, არამედ არტერიებში ილექება.

გულის დაავადებებით გამოწვეულ პაციენტებში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიაც 2700-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ კალციუმის დანამატის მიღების შედეგად, ის აორტასა და სხვა არტერიებში ნადების სახით ჩნდება.

დანამატის ნაცვლად, სჯობს კალციუმით მდიდარი საკვები მიიღოთ, როგორებიცაა: რძის პროდუქტები და ფოთლოვანი ბოსტნეული.

კალციუმის ნაკლებობა, ანუ ჰიპოკალციემია შესაძლებელია მარტივი სისხლის ტესტის მეშვეობით დადგინდეს, ამ შემთხვევაში ექიმი სწორი დოზირებით შეგირჩევთ მკურნალობას.



ომეგა-3

ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავა ნამდვილად სასარგებლოა ჩვენი ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით გულის დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

თუმცა, უფრო და უფრო მეტი კვლევა ადასტურებს, რომ მისი, როგორც დანამატის სახით მიღება ნაკლებად შედეგიანია.

მისი დანამატის სახით მიღება ინსულტის, ინფარქტისა და გულის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შესამცირებლად ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

მკვლევარების რჩევით, ჯანმრთელმა ადამიანმა არ უნდა მიიღოს ომეგა-3-ის დანამატი.

აუცილებელია ის ორგანიზმა საკვები პროდუქტებიდან აითვისოს. მიირთვით: ორაგული, სარდინი, სკუმბრია, ქაშაყი, თინუსი. ასევე, თხილი, კაკალი, სელისა და ჩიას თესლები, კვერცხი, იოგურტი.

სასარგებლოა მცენარეული ზეთები, როგორებიცაა სელის, სოიოს და კანოლას ზეთი.

ჟურნალში JAMA Internal Medicine-ში გამოქვეყნებულმა ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც 19 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 40 000 ქალის მონაცემებს ეყრდნობა, ცხადყო, რომ მულტივიტამინების მიღება არაეფექტურია.

ქალები, რომლებიც ღებულობდნენ მათ სიკვდილიანობის უფრო მომატებული რისკი ჰქონდათ მათთან შედარებით, ვინც უარს ამბობდა დანამატებზე.

ასევე აღმოჩნდა, რომ მულტივიტამინების დანამატი სიმსივნის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და სიკვდილიანობისგან არ გვიცავს.

ბოლო დროს გამოქვეყნებული კვლევები სხვა სახის ინფორმაციის მატარებელია. 2019 წლის კვლევის თანახმად, მულტივიტამინებისა და მინერალების მიღება ორგანიზმს მიკროელემენტის ნაკლებობის თავიდან აცილებაში ეხმარება, რაც სხვადასხვა დაავადებისგან თავდაცვას მოიაზრებს.

მაგალითად, ამერიკელი მეან-გინეკოლოგები მშობიარობის ასაკის ქალბატონებს ფოლიუმის მჟავასთან ერთად პრენატალური ვიტამინების მიღებასაც ურჩევენ, რაც დეფექტიანი ბავშვის დაბადების ალბათობას ამცირებს.

ექიმები ვიტამინებს მალაბსორბციის სინდრომის დროსაც ნიშნავენ. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი ვიტამინებსა და მინერალებს არასწორად აღიქვამს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დანამატების მიღება ექიმისგან დამოუკიდებლად არ შეიძლება, მეორეს მხრივ ჯანსაღ კვებას საკვები დანამატები ვერ ჩაანაცვლებენ.

ნიორზე არანაკლებ სასარგებლოა მისი ნაფცქვენი, ზოგი რამით კი აღემატება კიდეც ნიორს

კუჭ-ნაწლავის პრობლემებს ნივრის ქერქი მოგიგვარებთ

ხალხური მედიცინის თითქმის ყველა კრებულში უხვად არის ნივრისგან დამზადებული წამლების რეცეპტები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრს არ ეცოდინება, რომ ნიორზე არანაკლებ სასარგებლოა მისი ნაფცქვენი, ზოგი რამით კი აღემატება კიდეც ნიორს, კერძოდ, შეიცავს გაცილებით მეტ პექტინს, რომელსაც ორგანიზმიდან მძიმე ლითონთა მარილების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და ქოლესტერინის ნარჩენების გამოძევება შეუძლია.

ნივრის ქერქს ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს.

დაფხვნილი ნაფცქვენი სასარგებლოა, თუ მარილივით მოაყრით სხვადასხვა კერძს ისეთი დაავადებების დროს, როგორიც არის ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, მძიმე ლითონთა მარილებით ინტოქსიკაცია. ასევე კარგია გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პროფილაქტიკისთვის, გაზაფხულზე დასუსტებული იმუნიტეტის მოსაძლიერებლად და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნივრის ქერქის დადებითი ეფექტი დიარეისა და კვებითი მოწამვლის დროს. საკმარისია, მიიღოთ დღეში სამჯერ, თითო სადილის კოვზის ოდენობით და პრობლემაც ორიოდე დღეში გაივლის.

ნივრის ქერქის ნაფხვენის დამზადება ადვილია: მოაცალეთ ნიორს ჭუჭყიანი გარეთა ფენა, მომდევნო ფენა კი მოაგროვეთ, გააშრეთ, გაახმეთ და ჩვეულებრივ ყავის საფქვავში დაფქვით.

ბერტა ფონ ზუტნერის საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა გაიხსნა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

როდესაც ზუტნერების ოჯახი ამის შესახებ შეიტყობს, ბერტას დაითხოვენ. 1875 წლის შემოდგომიდან 1876 წლის ზაფხულამდე იგი არის შვედი ინჟინერის ალფრედ ნობელის პირადი მდივანი პარიზში. ნობელი, რომელსაც დინამიტის გამოგონებამ მილიონები მოუტანა, არის მარტოსული და მელანქოლიური ადამიანი, რომელსაც იოლად შეუყვარდება ბერტა. არტურ ფონ ზუტნერისადმი სიყვარულის გამო ბერტა 1876 წელს ტოვებს პარიზს და ვენაში ბრუნდება. 1876 წლის 12 ივნისს მან და არტურმა საიდუმლოდ იქორწინეს. მშობლებმა, რომლებიც ამ ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ, არტურ ფონ ზუტნერს მემკვიდრეობა ჩამოართვეს. ახლადდაქორწინებულები თითქმის ათი წლით კავკასიაში, კერძოდ საქართველოში გადასახლდნენ, სადაც

ისინი სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე დადიანმა მიიწვია. ეკატერინე დადიანს ბერტა 1864 წლის ზაფხულიდან მოყოლებული იცნობდა. მათი ნაცნობობა კი ჰამბურგში შესდგა. ზუტნერები თავდაპირველად დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში, გორდში ცხოვრობდნენ, მოგვიანებით კი ქუთაისში დაბინავდნენ. ბერტა მუსიკას, გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდა, თან წიგნებს წერდა. სწორედ მაშინ დაიწერა მისი რომანები – „ცუდი ადამიანები“, „წიგნის სულის ინტერტარიუმი“ და „ჰანა“. ასევე წერდა მემუარებს და საქართველოში ცხოვრების პერიოდს ასახავდა.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან ერთად არტურმა დაიწყო გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთებში მიმდინარე ომის, საქართველოს, კავკასიისა და ადგილობრივი ხალხის შესახებ წერილების გამოქვეყნება. იმავე წელს შეუდგა ჟურნალისტურ საქმიანობასაც ბერტა ფონ ზუტნერი. ბ. ოლოტის (. ულოტ) ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის წერილებს ქმრის მსგავსად დიდ წარმატება ქონდა. იგი ავსტრიული გაზეთებისთვის წერდა მცირე მოთხრობებს და ესსეებს, მისი ქმარი კი ომის შესახებ ცნობებსა და მოგზაურობის ისტორიებს. ბერტას მიაჩნდა, რომ თვითონ და მისი მეუღლე პუბლიცისტებად და მწერლებად სწორედ საქართველოში ჩამოყალიბდნენ. ისინი, გერმანულ და ავსტრიულ გამოცემებში საქართველოდან აგზავნიდნენ წერილებს, სადაც კარგად ჩანს მათი მრავალმხრივი განსწავლულობა, ინტელექტი, იუმორის გრძნობა, თხრობის დახვეწილი მანერა. ყველაფერი ის, რაც საუკუნე ნახევრის წინანდელ პუბლიკაციებს დღესაც საინტერესო საკითხავს ხდის.

1878 წლიდან ზუტნერები საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ და ქალაქის იმ დროისთვის ევროპულ უბანში, დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტზე დასახლდნენ. თბილისში მათ ეკატერინე დადიანმა სარეკომენდაციაო წერილი გამოატანა ერეკლე ბაგრატიონის ქვრივთან, თამართან. მოგვიანებით კი ზუტნერები ზუგდიდში დაბინავდნენ, ქალაქის იმ ნაწილში, სადაც „გერმანული კოლონიაში“ (იგივე დასახლებაში) ვიურტემბერგელი გლეხები ცხოვრობდნენ და მათგან იქირავეს ფეშენებელური სახლი.

ზუგდიდში ისინი პრინც აშილ მიურატის ოჯახში მუშაობენ: გუნდაკარი მიურატების მიერ წამოწყებული მშენებლობის მეთვალყურე და ხელმძღვანელი იყო, ხოლო ბერტა კი მის ვაჟებს ასწავლიდა გერმანულს და მუსიკას. ზუგდიდში დაწერა ბერტამ რომანები: „ცუდი ადამიანი“, „ჰანა“, „სულის ინვენტარიუმი“. 1882 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე, რომლის დაკრძალვასაც ცოლ-ქმარი ზუტნერები დაესწრნენ.

1885 წლის მაისში ისინი დაბრუნდნენ ვენაში, შეურიგდნენ არტურ ფონ ზუტნერის ოჯახს და დასალხდნენ ჰარმენსდორფში მდებარე საგვარეულო სასახლეში.

1886-87 წწ. ზამთარი ცოლ-ქმარმა ზუტნერებმა გაატარეს პარიზში. პოეტ ალფონს დოდეს სახლში ბერტა ფონ ზუტნერი პირველად იგებს ორგანიზებული სამშვიდობო მოძრაობის შესახებ და ამყარებს კონტაქტს ამ მოძრაობასთან. თავის 1888 წელს გამოცემულ წიგნში „მანქანების ეპოქა“ ბერტა ფონ ზუტნერი პირველად ახსენებს საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობას. ბერტა მიმოწერაში იმყოფება ცნობილ ფრანგ მწერალ ემილ ზოლასთან.

1889 წელს ბერტა აქვეყნებს რომანს „ძირს იარაღი!“ (Waffen nieder!), რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ბერტა ფონ ზუტნერი სამშვიდობო მოძრაობის ცნობილ წარმომადგენლად აქცია. რომანში იგი აღწერდა ომის საშინელებას ცოლისა და ქალის პერსპექტივიდან. ეს წიგნი იქცა მის დიდ ლიტერატურულ წარმატებად, გამოქვეყნებული იქნა რა ოცდაჩვიდმეტ გამომცემლობაში და თარგმნილი იქნა თორმეტ ენაზე. ამ რომანით ბერტა ფონ ზუტნერმა თავისი წვლილი შეიტანა იმ პერიოდის პაციფისტურ დისკურსში. ის განსაზღვრავდა მშვიდობას როგორც ბუნებითი სამართლით გარანტირებულ ნორმალურ მდგომარეობას, რომელსაც უპირისპირდება ომი როგორც ადამიანური „სიშლეგის“ შედეგი. აქედან გამომდინარე, მშვიდობის უფლება ხდება საერთაშორისო სამართლით მოთხოვნადად.

თითქმის მარტოდმარტო აფუძნებს იგი 1891 წელს ავსტრიის სამშვიდობო საზოგადოებას, რომლის წევრი ალფერდ ნობელიც ხდება.

1890-91 წწ. ზამთარს წყვილი ვენეციაში ატარებს. აქ ბერტა სხვა თანამოაზრეებთან ერთად დაკავებულია „ვენეციის მშვიდობის საზოგადოების“ ჩამოყალიბებით. იცნობს მარჩეზე ბენიამინო პანდოლფის, რომელიც მოგვიანებით მას „პარლამენტთაშორის კონფერენციაზე“ წარადგენს. 1910 წლიდან „პარლამენტთაშორისი კონფერენცია“ იწოდებოდა „პარლამენტთაშორის გაერთიანებად“.

1891 წელს სიტყვით გამოდის რიგით მესამე მსოფლიო სამშვიდობო კონგრესზე რომში, სადაც ის საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს. იმავე წელს აარსებს „ავსტრიის მშვიდობის საზოგადოებას“, ხოლო ერთი წლის მოგვიანებით გერმანიის მშვიდობის ორგანიზაციას, რომელსაც 2000 წევრი ყავს.

უფრო და უფრო აგრესიული ფორმით გამოვლენილი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ზუტნერები მკაფიო პოზიციას იკავებენ. 1891 წელს არტური აარსებს „ანტისემიტიზმის მოგერიების გართიანებას“, რაშიც მას ბერტაც აქტიურ თანადგომას უცხადებს. ამით ზუტნერები გადაიმტერებენ ნაციონალისტებს, კლერიკალებს და ანტისემიტისტებს. „ანტისემიტიზმის მოგერიების კავშირში“ გაერთიანებულნი არიან მწერლები ლუდვიგ განგჰოფერი და პეტერ როზეგერი, კომპოზიტორი იოჰან შტრაუს ზონი და სხვები.

მეფის ინიციატივით 1899 წელს ჰააგაში მოწვეულია პირველი სამშვიდობო კონფერენცია, მაგრამ მონაწილეები არიან არა პაციფისტები, არამედ დიპლომატები, სახელმწიფო მოხელეები. განიარაღებისა და ომის სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიები უშედეგოდ მთავრდება.

1902 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა არტურ ფონ ზუტნერი. ბერტა ვენაში გადავიდა, სადაც ის აქტიურად განაგრძობდა სტატიების წერას. 1903 წელს ის მონაკოში მონაწილეობას ღებულობს „მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის“ (Institut International de la Paix) დაარსებაში, რაშიც ზუტნერის გავლენით მონაკოს პრინცი ალბერტიც აქტიურად მონაწილეობს.

ბერტა ფონ ზუტნერი არის 1904 წელს ბერლინში ჩატარებული „ქალთა საერთაშორისო კონფერენციის“ უმნიშვნელოვანესი მონაწილე. იმავე წელს იგი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო მშვიდობის კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. შეერთებულ შტატებში ყოფნისას იგი პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის მიერ ვაშინგტონში თეთრ სახლში იქნა მიწვეული.

ბერტა ფონ ზუტნერი იყო პირველი ქალი, რომელმაც 1905 წლის 10 დეკემბერს მიიღო ნობელის მშვიდობის პრემია, რომლის დაარსებაც ნობელს თავად შთააგონა იმ ზარალის საზღაურად, რომელიც მის მიერ გამოგონილმა დინამიტმა მოუტანა კაცობრიობას. მიუხედავად იმისა, რომ ალფრედ ნობელს მშვიდობის პრემიის შემოღებისას პრემიის მფლობელად სწორედ ბერტა ფონ ზუტნერი ყავდა მოაზრებული, იგი მაინც რიგით მეხუთე პრემიის ლაურეატი აღმოჩნდა. 1912 წელს ბერტა ფონ ზუტნერი აკეთებდა პროგნოზს საერთაშორისო გამანადგურებელი ომის შესახებ, რის გამოც მას ხშირად დაცინვით „მშვიდობის ბერტასაც“ უწოდებდნდნ. 1912 წელსვე იგი ხელმეორედ მიემგზავრება აშშ-ში, სადაც ის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპირომდე ორმოცდაათზე მეტ ქალაქში კითხულობს მოხსენებებს.

1914 წლის 21 ივნისს მისი გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ სარაევოში მოკლული იქნა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი, ერთი თვის შემდეგ კი ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ ომი გამოუცხადა სერბეთს: დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ბერტა ფონ ზუტნერის უკანასკნელი სიტყვებია: „ძირს იარაღი! უთხარი ეს ბევრს, ბევრს“. („Die Waffen nieder! – sag's vielen – vielen“.)

1993 წლიდან მოყოლებული არსებობს ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის სამეცნიერო ფონდი (ერტჰა-ვონ-ზუტტნერ-შტიფტუნგ), რომელიც აფინანსებს სამშვიდობო და საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშრებულ პროექტებს. ბერტა ფონ ზუტნერის სახელს ატარებს არაერთი სკოლა თუ გიმნაზია გერმანიასა და ავსტრიაში. ბონსა და დუსელდორფში არსებობს ბერტა ფონ ზუტნერის მოედანი. ბერტა ფონ ზუტნერის პორტრეტი გამოსახულია ავსტრიულ ორევროიანზე.

როგორც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა შორენა სეფაშვილმა აღნიშნა, ამ ღონისძიებით გაიხსნა სწორედ საიუბილეო წელი ილიას მუზეუმისთვის. მოგეხსენებათ, 2022 მნიშვნელოვანი თარიღებითაა დატვირთული: სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185, გარდაცვალებიდან – 115 და ილიას მუზეუმის დაარსებიდან – 85 წლისთავი.

ამ კუთხით მომავალში დაგეგმილია კიდევ არაერთი ღონისძიება.

გამოფენა 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მოაზადა
ია გიგიაშვილმა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86